ალია

№179 /3109/ 5-8 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA .GE

## რა ჯარიმების სისტემა ამოქმედდება იანვრიდან?

## გაბრაზებული ბიძინა ივანიშვილი სამ ადამიანს პოსტს დაატოვებინებს...

რას უყვება წყარო „ალიას“ ივანიშვილის კულუარულ გადაწყვეტილებებზე



## რაში სთხოვს მხარდაჭერას არასაპარლამენტო ოპოზიცია ღარიბაშვილს?





## „ოცნების“ მთავრობის სამი ეკონომიკური შეცდომა

რისთვის არის გასაყრელი 1 მილიონ ბიუჯეტიანი 41-კაციანი ეკონომიკური საბჭო

## განათლების სამინისტროს სქემა

როგორ აპირებენ მასწავლებლებისთვის ხელფასების შემცირებას



## „ლეიბორისტები“ ხადურს ხალხის ძარცვაში ადანაშაულებენ

და აქციებისთვის ემზადებიან



## რატომ იბარებენ და რა კითხვებს დაუსვამენ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს პარლამენტში?





## რა კავშირია ბერუჩაშვილ-ქერის შეხვედრასა და აპატურაის ჩამოსვლას შორის?



## რას შეცვლის სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება საქართველოსთვის?



## გაძვირდება თუ არა ახალი წლიდან თამბაქო?

პარლამენტში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში ახალი წლიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის მომატებასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე იმსჯელებენ.

კანონპროექტის მიხედვით, 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ფილტრიან სიგარეტზე აქციზის განაკვეთი – 15 თეთრით, უფილტროზე კი 5 თეთრით გაიზრდება.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნოდარ ებანოიძის თქმით: „ეს არის 2015 წლის ბიუჯეტის თანამდევი კანონები, მათ შორის საბიუჯეტო კოდექსში და სხვადასხვა მიმართულებებით ცვლილებები. მოგეხსენებათ, იქ არის აქციზის თემა, იქ არის 2005 წლამდე და 2009 წლამდე გარკვეული ვალდებულებების ჩამოწერა. ასევე სალარო აპარატზე დაჯარიმებულებს ჩამოეწერებათ ეს ჯარიმები“, – განაცხადა ებანოიძემ. (ნიუპოსტი)

## უსუფაშვილი ბროკს არ ეთანხმება



პარლამენტის თავმჯდომარე ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ელმარ ბროკის განცხადებას ეხმაურება:

„მას შემდეგ რაც საქართველომ ნატოში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც რეალობა სხვაგვარად წარმოედგინათ. ევროპა არის ძალიან დიდი სივრცე. აქ არის ბევრი პოლიტიკური ძალა, ბევრი პოლიტიკოსი და ვიცით, რომ ზოგიერთს ასეთი განწყობები აქვს. უმრავლესობა მოტივირებული და მოწადინებულია, მათ შორის, ნატო-ს ხელმძღვანელი ორგანოები. უელსის სამიტი არის ის ადგილი, სადაც ქვეყნები პოზიციებს გამოხატავენ. ეს პოზიცია არის ურყევი და ძალიან მყარი. ყველაფერი დანარჩენი არის მიმდინარე დისკუსია, დებატები, რომელსაც ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ნატო-ში გაწევრიანებაზე ამ ეტაპზე საუბარი არ არის. (ნიუპოსტი)

## „ლარი ძველ ნიშნულს აღარ დაუბრუნდება“



ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის თქმით, „ლარი ძველ ნიშნულს აღარ დაუბრუნდება“.

მისი თქმით, ლარის გაუფასურებაზე ქვეყნის ბიუჯეტი არ მოქმედებს.

მინისტრი მზად არის ამის დამადასტურებელი არგუმენტებიც წარმოადგინოს.

„ექსპერტების მოსაზრებებს არ ვეთანხმები, მე შემიძლია ექსპერტებს, რომელსაც აქვთ შიშები ბიუჯეტთან დაკავშირებით, შევხვდე და მივაწოდო სტატისტიკური მონაცემები და დავარწმუნო, რომ მათ მიერ გაკეთებული განცხადებები ლარის სიმყარეს არ ემსახურება. ისინი მოსახლეობაში პანიკას თესავენ, რაც ასევე ხელს უწყობს ლარის გაუფასურებას“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

## თბილისში პატრულის თანამშრომელი დაჭრეს




თბილისში, თემქაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ცივი იარაღით დაჭრეს. შემთხვევა 3 ნოემბერს, გვიან ღამით მოხდა. პოლიციელს 6 ჭრილობა აქვს მიყენებული და ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, დაჭრის ფაქტს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, პატრულის თანამშრომელი შემთხვევის დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)



## ლარის გაუფასურებაზე პირადი პასუხისმგებლობა პრემიერ-მინისტრს ეკისრება

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ პაატა შეშელიძის აზრით, ლარის გაუფასურებაზე პირადი პასუხისმგებლობა პრემიერ-მინისტრს ეკისრება.

„ლარის კურსი დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ლარი არ არის თავისუფალი მთავრობის ჩარევისგან. შესაბამისად, ეს არ არის წმინდა საბაზრო მოვლენა, რომ ჩვენ მისი პროგნოზირება შევძლოთ. ლარის კურსი ფორმალურად ყალიბდება აუქციონზე, სადაც ვაჭრობს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ინტერვენციის მასშტაბებს, ანუ ის იღებს გადაწყვეტილებას იმაზე, გაყიდოს იმდენი დოლარი, რომ არ დაუშვას ვარდნა, თუ არ გაყიდოს. აქედან გამომდინარე, ეს არის აბსოლუტურად პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი. რა სჯობია რომ გაკეთდეს? პირველი – უნდა შეწყდეს ის პოლიტიკა, რომელმაც დევალვაცია გამოიწვია და ადამიანები, რომლებმაც ეს გააკეთეს, ჩამოშორდნენ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, რომელსაც თავს ვერართმევენ და მეორე – უნდა მოხდეს ლარის დასტაბილურება, თუნდაც დღევანდელი კურსით. პოლიტიკის შეცვლა გულისხმობს იმას, რომ არ უნდა მიიღებოდეს მცდარი გადაწყვეტილებები, არ უნდა ფინანსდებოდეს ისეთი წამოწყებები, რომელიც ბაზარზე ისედაც შეიძლება რომ გაკეთდეს. ამ ყველაფერში საკვანძოა ფინანსთა სამინისტრო, მაგრამ მხოლოდ ის არ არის პროცესზე პასუხისმგებელი. პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერ-მინისტრს, რომელიც ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს. რატომ არ მოგვისმენია მისი არც ერთი კომენტარი, მაშინ როცა ფულს ვუხდით, რომ იმუშაოს? აბა, ვის უნდა ვკითხოთ? თუ არ აკეთებენ კომენტარს ე.ი. რაღაც იციან და გვიმალავენ. პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, ვინც დღეს ამ საქმეშია – ეროვნულ ბანკს, მთავრობას და პარლამენტსაც, რადგან შექმნილ ვითარებაში ის უნდა იბარებდეს ამ ხალხს და პასუხს სთხოვდეს. ეს არის შეთქმულება ეკონომიკის წინააღმდეგ, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ლარში იღებენ ხელფასს, აქვთ რაღაც გეგმები და დღეს ჯიბიდან აცლიან მის მსყიდველობის უნარს. ამაში დამნაშავე თავად არიან“, – განაცხადა შეშელიძემ. (ინტერპრესნიუსი)





## დარახველიძე შესაძლოა, ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებაში დასაქმდეს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ლტოლვილთა და განსახლების ექსმინისტრ დავით დარახველიძეს შეხვდა.

ყოფილმა მინისტრმა პარლამენტი ისე დატოვა, რომ არ დაუკონკრეტებია, რა თემაზე ესაუბრა საგანელიძეს, თუმცა არ დაუმალავს, რომ მოსალოდნელია მისი ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებაში დასაქმება. (ფრონტნიუსი)

## საქართველო ინტერნეტის თავისუფლების კუთხით თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა



საქართველო 26 ქულით ინტერნეტის თავისუფლების კუთხით თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა. **Freedom House**-ის „ქსელის თავისუფლების“ 2014 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო, 2013 წლის ანგარიშის მსგავსად, 2014 წელსაც ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვებით 8 ქულით შეფასდა, შინაარსთან დაკავშირებული შეზღუდვებით – 7 ქულით. რაც შეეხება ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებების დარღვევას, ამ მხრივ საქართველო 11 ქულით არის შეფასებული.

უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიში 2013 წლის მაისიდან 2014 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავს და მასში 65 ქვეყნის მდგომარეობაა შეფასებული.

„ქსელის თავისუფლების“ ანგარიშში ბოლო პოზიციებს სირია, ირანი და ჩინეთი იკავებენ. (kvira.ge)

## ეტლით მოსარგებლისთვის ხელის შეშლის გამო მძღოლი გააფრთხილეს



პატრულმა ეტლით მოსარგებლისთვის გადაადგილებაში ხელის შეშლის გამო მოქალაქეს სიტყვიერი გაფრთხილება მისცა. მძღოლმა ავტომანქანა პანდუსთან გააჩერა, რის გამოც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა გადაადგილება ვერ შეძლო. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, ეტლით მოსარგებლეს საპატრულო პოლიცია დაეხმარა, მძღოლს კი სიტყვიერი გაფრთხილება მისცა.

„საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი რომ მივიდა, ეტლით მოსარგებლეს დაეხმარნენ და მძღოლს გაფრთხილება მისცეს. პატრულს დასახმარებლად ეტლით მოსარგებლემ მიმართა“, – განაცხადა საპატრულო პოლიციის პრესსამსახურის უფროსმა ნინო ცხადაძემ. (kvira.ge)

## ივანიშვილის გადაცემა „2030“ GDS-ის ეთერში თებერვლიდან გავა



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პროექტი, ტელეკომპანია **GDS**-ზე თებერვლიდან გავა.

„მზაობა, პრინციპში, გვაქვს. ვაპირებდი, წლის ბოლომდე შემდგარიყო პროექტი. ახალი წლები ემთხვევა, მოგეხსენებათ, როგორია იანვარი. ალბათ, თებერვლიდან ეს პროექტი გავა. შესაძლოა, **GDS**-მა გადაწია პროცესი, რამდენადაც საჩქარო არ იყო. პროექტზე აქტიურად ვმუშაობთ. ჩემი აზრით, თებერვლიდან უკვე გამოვალთ“, – განაცხადა ივანიშვილმა. (ნიუპოსტი)

## „პატივს ვცემ უკრაინის პრეზიდენტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს“



გიორგი მარგველაშვილმა უკრაინის მთავრობაში ქართველების დანიშვნა შეაფასა:

„მე პატივს ვცემ უკრაინის მთავრობას, პატივს ვცემ უკრაინის პრეზიდენტს და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს“, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად ალექსანდრე კვიტაშვილი დაინიშნა. საუბარია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ეკა ზღულაძის დანიშვნაზე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „იმედია, არსებითი პაკეტის განხორციელების გეგმა თებერვალში დამტკიცდება“



თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრის შემდეგ იმედოვნებს, რომ არსებითი პაკეტის განხორციელების გეგმა თებერვალში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე დამტკიცდება.

„საუბრის მთავარი თემა შეეხებოდა არსებით პაკეტს, რომელიც უელსის სამიტზე საქართველოს გადმოეცა და მისი იმპლემენტაციის პროცესს. ნატოს შტაბბინა და ბატონი აპატურაი, როგორც გენერალური მდივნის წარმომადგენელი, აქტიურად იქნება ჩართული იმპლემენტაციის გეგმის შემუშავებაში. ჩვენ გვექნება თავდაცვის მინისტერიალაზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, სადაც იმედია, რომ იმპლემენტაციის გეგმა საბოლოო სახით დამტკიცდება“, – განაცხადა ჯანელიძემ. (ნიუპოსტი)

# რაში სთხოვს მხარდაჭერას არასაპარლამენტო ოპოზიცია ღარიბაშვილს?

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვს.**

**„თუ ხელისუფლებასა და პირადად ღარიბაშვილს მართლაც სურს, რეალურად კონსტრუქციული ფორმატით აწარმოოს მოლაპარაკება ოპოზიციასთან, როგორც მან ეს ცოტა ხნის წინ თავად განაცხადა, ამის შესანიშნავი საშუალება სწორედ საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებისთვის მოლაპარაკების წარმოებაა“, — აცხადებს გიორგი ახვლედიანი.**

**რატომ ითხოვს ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და რაში სთხოვენ მხარდაჭერას?**

**„ალიას“ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ახვლედიანი ესაუბრა:**

**— კონკრეტულად რის თქმა გსურთ ღარიბაშვილისთვის?**

– ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას ვითხოვთ არა, როგორც პრემიერ-მინისტრთან, არამედ, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერთან. რატომ ღარიბაშვილს? იმიტომ, რომ ის ინიციატივები, რომლებიც ჩვენ შევთავაზეთ უპირველეს ყოვლისა პარლამენტის თავმჯდომარეს და იმავდროულად საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, ისეთი საკითხებია, რომელიც საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებებს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა პოზიციას დაიკავებს ამ საკითხებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობა. ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე პოზიტიურადაა განწყობილი ინტერპარტიული ჯგუფის მიმართ და თანამშრომლობის რეჟიმშია, ასევე ის, რომ იზიარებს იმას, რომ ერთმანდატიანი სისტემა უნდა გაუქმდეს, ეს ძალიან კარგია, ცოტა არ არის, მაგრამ საკმარისიც არ არის იმისთვის, რომ ეს ცვლილებები რეალურად განხორციელდეს პარლამენტში. უსუფაშვილს აქვს ერთ ხმა-ერთი მანდატი, ჩვენ კი გვჭირდება 114 ხმა. ანუ 114 დეპუტატი უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ეს ცვლილებებია გასატარებელი. ამიტომაც, საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩვენი მოსაზრებები გავაცნოთ კოალიციას, გავიგოთ, როგორ უყურებენ ამ საკითხს, ცვლილებების არსს უკვე საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი პოლიტიკური პარტიები.

ჩვენ მომავალი კვირის დასაწყისში ოფიციალურად მივმართავთ ღარიბაშვილს, როგორც



სამთავრობო კოალიციის ხელმძღვანელს, მიმართვაშივე დავაფიქსირებთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ ირაკლი ღარიბაშვილი შეგვხვდება კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებთან ერთად. ასე გავიგებდით ფრაქციების მოსაზრებებს, საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით.

**— როგორ ფიქრობთ, წამოვა თქვენს შეთავაზებაზე ღარიბაშვილი?**

– არ მგონია, ღარიბაშვილმა ეს თემა გააჭიანუროს. მით უმეტეს, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა თავადვე გამოაცხადა, დიდი სურვილი მაქვს კონსტრუქციულ ფორმატში ვითანამშრომლო ოპოზიციასთანო. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, ვთავაზობთ სათანამშრომლოდ საკმაოდ კონსტრუქციულ ფორმატს. ახლა უკვე მან უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა თანამშრომლობა.

**— იმედი გაქვთ, რომ, თუ ღარიბაშვილს დაიყოლიებთ, ეს მთელი უმრავლესობის დაყოლიების ტოლფასი იქნება?**

– ირაკლი ღარიბაშვილს აქვს გავლენა კოალიციაზე, ის ლიდერია. ბუნებრივია, გვაქვს იმედი, რომ ის გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს კოალიციის შიგნით განწყობებზე, შეხედულებებზე...

ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ თვითონ ეს პროცესი ნამდვილად არ წარმომიდგენია იოლ საქმედ. როცა ჩვენ ვსაუბრობთ მაჟორიტარების სისტემის გაუქმებაზე, ეს მთელ ქვეყანას უნდა, გარდა მაჟორიტარებისა, რომლებსაც ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქში, არჩევის დიდი იმედები აქვთ. მათ უნდათ, რომ ძალიან დიდხანს იყვნენ პარლამენტში, როგორც მარტო პულტზე ხელის დამჭერი, არაფრის მკეთებელი მორჩილი უმრავლესობა. ნახევარ პარლამენტს მაჟორიტარები შეადგენენ, ამიტომ არ იქნება იოლი, ამიტომ ვცდილობთ, რომ ჩვენი ყველა რესურსი გამოვიყენოთ. ველოდებით რეაგირებას, იმედია, არ გაგვიხდება ღარიბაშვილთან შეხვედრა საოცნებოდ და დაუსრულებელ საკითხად.

*დიანა ლიპარტელიანი*

# „ლეიბორისტები“ ხადურს ხალხის ძარცვაში ადანაშაულებენ

## და აქციებისთვის ემზადებიან

**ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივნის, გიორგი გუგავას განცხადებით, „ლარის გაუფასურება ნოდარ ხადურის მიერ წარმოებულ ფინანსურ მაქინაციებს უკავშირდება და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას... ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისზე, აუცილებელია, დადგეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას მთავრობის ეკონომიკური ბლოკი ხადურის მეთაურობით“.**

**რა მაქინაციებს ჰქონდა ადგილი ფინანსთა მინისტრის მხრიდან? და რას აპირებენ ლეიბორისტები, ამასთან დაკავშირებით?**

**„ალიას“ გიორგი გუგავა ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, რა მაქინაციებს აქვს ადგილი ნოდარ ხადურის მხრიდან?**

– როგორც ცნობილია, ბიუჯეტი გარღვეულია, ამიტომ ამ ფინანსური რესურსის შესავსებად ისინი იყენებენ აპრობირებულ მეთოდს – მანიპულაციას მსოფლიო სავალუტო ბაზარზე, როცა ხელოვნურად ხდება ლარის კურსის დაცემა, გაუფასურება. ამით ისინი ავსებენ ბიუჯეტს. ეს მეთოდი გამოიყენეს შარშანაც და გამოიყენეს წელსაც. ახალი წელი ახლოვდება, აქტუალურია პროდუქტების ყიდვა, აქედან გამომდინარე, ყველაფერმა ასახვა ჰპოვა ბაზარზე,




გაძვირდა პროდუქცია. სავალუტო ბირჟაზე მანიპულაციით ასეულობით მილიონი იხსნება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა ახლა კი არა, მაშინაც უნდა დაკისრებოდა, როცა ბიუჯეტი გაერღვა ხადურს, როცა ურცხვად იწერდნენ პრემიებს. როცა ისეთი ფინანსური მაქინაციები მიმდინარეობს და მას მოჰყვება არა მხოლოდ მძიმე ფისკალური შედეგი, არამედ მოსახლეობის მასობრივი ძარცვა, ამაზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

**— ხადური ამბობს, მე რა შუაში ვარ, ბიუჯეტი ინფლაციაზე არ მოქმედებსო, ივანიშვილიც ამბობს, საგანგაშო არაფერი ხდებაო.**

– ეს სიტუაცია თუ არ შეიცვლება, ისეთი მძიმე შედეგები დადგება, მერე არჩიონ მტყუან-მართალი. ჩვენი განცხადების დასტური ისაა, რომ ხადური-ივანიშვილის ორგანიზებით ხდება ეს ყველაფერი. როგორც ჩანს, ეს მანიპულაცია შემთხვევით არ ხდება, ივანიშვილს ეს ახასიათებს, ამით მოუყარა თავი რამდენიმე მილიარდს. როგორც ვხედავთ, ეს ორგანიზებულია, რასაც ისედაც გაძვალტყავებული მოსახლეობის ძარცვა მოჰყვება. ეს ყველაფერი მიგვიყვანს სოციალურ კოლაფსამდე და მოსახლეობის ბუნტამდე. ეს ააფეთქებს სიტუაციას. იმდენად ვერ აცნობიერებენ ამას და იმდენად ვერ აცნობიერებენ თბილ სავარძლებში მოკალათებულნი, რომ შორს არაა ის დრო, როცა რთულ შედეგებამდე მივლენ, სამწუხაროდ, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველოც.

**— მთელ მთავრობას მაქინაციებში ამხელთ, დოკუმენტურად დასაბუთება სჭირდება ამას.**

– დოკუმენტი კი არა, ფაქტი გვაქვს ხელში, რასაც ვუყურებთ ციფრებს სავალუტო ჯიხურებზე. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდეს რყევის დაბალანსებას და შესაბამისი სავალუტო რეზერვების გამოყენებას, რომ მოსახლეობაზე მძიმედ არ აისახოს, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება შეწუხდეს, ხელი დაიბანეს ყველაფრისგან. მიმდინარეობს ლარის ხელოვნური ვარდნა. გვიცხადებენ ურცხვად, რომ ყველაფერი კარგად არის. მეტი დოკუმენტი რა გინდათ? მათი ხელშეწყობის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. მთლიანად პასუხისმგებლობა რეგულაციაზე ეკისრება მათ. ისინი კი პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, გელანდებათ, ეკონომიკა აყვავდაო. ფასები იმატებს საკვებზე, წამალზე, სხვა მომსახურებაზე, ვისაც კრედიტი აქვს, კატასტროფული მდგომარეობა დაუდგათ. ხელისუფლება არ იყენებს თავის ბერკეტებს რესურსების მოსაძიებლად. ეს მათ არ შერჩებათ. ლარის გაუფასურებას ხელს უწყობენ, კი არ უშლიან.

**— თუ შეგიძლიათ დასაბუთება, რომ მთავრობის წევრები კრიმინალს სჩადიან, არ აპირებთ პროკურატურაში ჩივილს?**

– პროკურატურა მაგათია და რა შედეგს მივიღებთ? ამას მხოლოდ პროკურატურაც ვერ უშველის. თუ ხელისუფლებამ ბერკეტები არ აამოქმედა, დაიწყება სოციალური აფეთქება. ჩვენ კი სხვა გზებს მივმართავთ. გარდაუვალია ხალხის ბუნტი და ქუჩაში გამოსვლა. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, ვიყოთ ამ გამოსვლების მაორგანიზებელი ძალაც.

*ჟანა ასანიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „აპატურაიმ თქვა, რომ...“



პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ჯეიმს აპატურაი თავდაცვის სამინისტროში ვიზიტის შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ უწყებას კურსი არ შეუცვლია.

„აპატურაიმ თქვა, რომ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოსგან მეტ სტაბილურობასა და მეტ დაფიქრებას ელოდება ისეთ დროს, როდესაც მსგავსი საკითხები ხდება ხოლმე. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზეც, რომ 2016 წელი მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. 2016 წლის გაზაფხულზე ნატო-ს მორიგი სამიტია დაგეგმილი, ამ დროისთვის ნატო სასწავლო ცენტრისა და სხვა ღონისძიებების თაობაზე ჩვენი მხრიდან პროგრესს ელის. მეც ვუთხარი, რომ 2016 წელი მნიშვნელოვანია, რადგან საპარლამენტო არჩევნებია და ჩვენი გუნდი ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პირნათლად შევხვდეთ მნიშვნელოვან მოვლენას ყველა მიმართულებით“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილი პოლონეთის სეიმის მარშალს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პოლონეთის სეიმის მარშალს რადოსლავ სიკორსკის შეხვდა. მხარეებმა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრა და ყურადღება იმ ნაბიჯებზე გაამახვილა, რომელიც საქართველომ ამ პროცესის დასაჩქარებლად გადადგა. განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია და ამ პროცესში პოლონეთის როლი იყო. საუბარი ასევე შეეხო საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებას და ამ დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

„ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პოლონეთის პარლამენტის სპიკერს შორის. საუბარი შეეხო, რა თქმა უნდა, ჩვენს მეგობრობასა და საქართველოს მომავალს, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ამ პროცესს და ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას უახლოეს მომავალში მოვახდენთ. ასევე გვინდა, რომ მომავალ წელს რიგაში მივიღოთ გადაწყვეტილება უვიზო რეჟიმის პროცესის დაწყების თაობაზე და რომელიც ასევე ღია იქნება საქართველოსთვის", – განაცხადა საქართველო-პოლონეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარემ მიხაილ შტერბამ.

ასოცირების ხელშეკრულების შეთანხება უკვე რატიფიცირებული აქვს ევროკავშირის წევრ 9 სახელმწიფოს: რუმინეთს, ლიტვას, ლატვიას, სლოვაკეთს, მალტას, ბულგარეთს, ესტონეთს, უნგრეთს, შვედეთს. (ნიუპოსტი)

## რატომ იბარებენ და რა კითხვებს დაუსვამენ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს პარლამენტში?

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებით, ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით მთავრობის ეკონომიკური გუნდის მინისტრებს პარლამენტში დაიბარებენ.**

**საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის თქმით, „ურიგო არ იქნება, თუ მეტ ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას".**

**რა კითხვები აქვს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან?**

„ალიას" **დავით ონოფრიშვილი** ესაუბრა:



– ეს საკითხი ძალიან დეტალურად და საფუძვლიანად უნდა იყოს განხილული, შესაბამისად, როცა ეკონომიკური გუნდი მოდის, იქ დაისმება მრავალი კითხვა. მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, აუცილებლად ვკითხავდი, რა ღონისძიებების გატარებას გეგმავენ ეკონომიკის გამოსაჯანსაღებლად. ვკითხავ, როგორ აპირებენ, დაასტაბილურონ ლარის კურსი, როგორ ფიქრობენ, როგორ უნდა გახადონ ეკონომიკა მდგრადი, სტაბილური, რომ ასეთი რყევები ავიცილოთ თავიდან.

**— ბატონო დავით, რატომ მივიდა საქმე ასე გამწვავებამდე, როცა თავიდანვე აშკარა გახდა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით არ იდგმებოდა შესაბამისი ნაბიჯები, რატომ დაიბარეთ მთავრობის ეკონომიკური გუნდი პარლამენტში, როგორც კი არასტაბილურობის ნიშნები გამოჩნდა?**

– მე საპარლამენტო უმრავლესობაში არ ვარ და, შესაბამისად, ამას მე ვერ გავაკეთებდი.

**— არც ისე დიდი დროა გასული, რაც აღარ ხართ საპარლამენტო უმრავლესობაში, ეს პროცესები უფრო ადრე დაიწყო...**

– მე, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, სისტემატურად მაწვდიდნენ და მაწვდიან ეკონომიკურ მდგომარეობაზე ინფორმაციებს. მქონდა და მაქვს კონსულტაციები და კონტაქტი მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან. ეროვნულ ბანკთანაც და ფინანსთან სამინისტროსთანაც. ლარის კურსი, იმაზე მეტად წავიდა, ვიდრე ნორმაა. დოლარის კურსის ცვლილება ყველა მეზობელ ქვეყანაში ხდება და ეს გასაგები იყო, მაგრამ არის სხვა ფაქტორებიც, რაც დამატებით მოქმედებს და ამიტომაც ჩნდება დამატებითი კითხვები.

**— თქვენ, როგორც ეკონომიკის გამოცდილი სპეციალისტი, რას ფიქრობთ, რა უნდა გეკეთებინა მთავრობას, რომ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა ასე არ დამძიმებულიყო? არ, თუ ვერ გააკეთა?**

– ამომწურავად რომ გითხრათ, რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას, მომიწევს მთელი ახალი ეკონომიკური პროგრამა მოვყვე. მოკლედ ასე ვიტყვი – უფრო მეტად უნდა მომხდარიყო ინვესტიციების შემოდინების სტიმულირება, ბიზნესის კონკურენციის გაუმჯობესების თვალსაზრისით უნდა განხორციელებულიყო მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც რეალურად გაამარტივებდა ბიზნესს, შემოვიდოდა მეტი ინვესტიცია, რაც რეალური საფუძველი გახდებოდა, რომ ეროვნული ვალუტის კურსი გარკვეულ მდგრადობას შეინარჩუნებდა. ძალიან ბევრ ღონისძიებაზე შეიძლება საუბარი. მიჭირს ყველაფერზე მოკლედ საუბარი.

ამ ყველაფრის გაკეთება, რეალურად რომ ვთქვათ, არ არის მარტივი. ვერ გაკეთდებოდა ერთ დღეში, უცებ... იყო როგორც საგარეო, ასევე საშინაო ფაქტორები, რომლებმაც ბევრ ფაქტორზე იმოქმედა უარყოფითად.

*დიანა ლიპარტელიანი*

## რა კავშირია ბერუჩაშვილ-ქერის შეხვედრასა და აპატურაის ჩამოსვლას შორის?

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი ჯონ კერის შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ მათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისაუბრეს, რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებაზე.**

**კიდევ რაზე შეიძლება ესაუბრათ ბერუჩაშვილსა და ქერის? არსებობს თუ არა კავშირი აპატურაის ჩამოსვლასა და ბერუჩაშვილ-ქერის შეხვედრას შორის?**

„ალიას" პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრა:



**— ბატონო რამაზ, ქერი ბერუჩაშვილის შემდეგ ლავროვსაც შეხვდა. ჩვენი მხარის ოფიციალური განცხადება ვიცით. კიდევ რაზე შეიძლება ესაუბრათ ბერუჩაშვილსა და ქერის?**

– ურთიერთთანამშრომლობის თემა დიდი ხანია, ტრიალებს. წამოაყენეს კონგრესმენებმა საკითხი და აღინიშნა, რომ იმ ქვეყნებში, რომელთა შეყვანაც უნდათ ნატოს სტრუქტურაში, დაძაბულობა რომ არ მოჰყვეს ამას რუსეთის მხრიდან, ამერიკის პარტნიორი ქვეყნები დაფიქრდნენ მათთვის გარკვეული დაცვის მექანიზმების მინიჭებაზე. რეალურად, ეს მართლაც არის დაცვა, ისევე, როგორც ნატოში გაწევრიანება გვსურს მეხუთე მუხლის გამო. ამ მუხლით, მოგეხსენებათ, უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი დაცვა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ. ამ მუხლის მიხედვით, მტერი ვისაც შეუტევს, ამერიკამ უნდა დაიცვას. ჩვენთვის ერთი და იგივე ძალაა როგორც ნატო, ისევე ამერიკა.

**— პუტინმა განცხადება გააკეთა, ამერიკა ხელს მიშლის მეზობლებთან ურთიერთობაშიო. ამ განცხადებასთან კავშირში ხომ არაა ისიც, რომ მან ლავროვი მიავლინა კერისთან შესახვედრად?**

– დიპლომატია არ არის მხოლოდ კულუარული შეთანხმებების გაფორმება, ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ გაიმართოს რუსეთსა და ამერიკას შორის დიპლომატიური დუელი. ლავროვის ფაქტორმა მაიძულა, მეფიქრა, რომ აქ გარკვეულ შეთანხმებაზე იქნება საუბარი, რაც შეიძლება მოგვიანებით ჩვენთვისაც გახდეს ცნობილი.

**— იცით, რა მაინტერესებს? ევროსაბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე, ბრუკი გვეუბნება, ნატო დაივიწყეთო და აპატურაი რატომღა ჩამოდის ასე ხშირად, რატომ გვაიმედებს, გადაწყვეტილებას არ შევცვლით აუცილებლად მიგიღებთ ნატოშიო?**

– ადამიანის ტყავში თუ შეხვალ, მერე იგებ, რატომ იქცევა ის ისე, როგორც იქცევა. მეორე ადამიანის პოზიციიდან ეს შეიძლება გაურკვეველი იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დასავლეთი, ზოგადად, რუსეთთან პირდაპირ კონფრონტაციებს ერიდება. ეკონომიკური სანქციები ფორმაა მხოლოდ. არ უნდა დასავლეთს მსოფლიო ომის დაწყება სინამდვილეში და ფრთხილობს. ამაზე თამაშობს რუსეთი, ამიტომ ის უფრო თავხედია, ვიდრე დასავლეთი. ამდენად, ამერიკას არ სურს, გადადგას ნაბიჯი, რომ მერე ამ გაუწონასწორებელმა, დაუდევარმა რუსეთმა საპასუხო ნაბიჯი არ გადადგას, რომელიც მასაც დააზარალებს. მეორე მხრივ, ამერიკას არ სურს პარტნიორების დაკარგვა. ჩვენ პარტნიორებად აღგვიქვამს. ნატოში ჩვენი ინტეგრაცია არის ნიშნობასავით. ნიშნობა ხომ არ ნიშნავს დაქორწინებას, მაგრამ იმის ნიშანია, რომ ეს ორი მხარე აუცილებლად დაქორწინდება. ამიტომ აპატურაის ვიზიტები გაგრძელდება.

კონკრეტული ჯერ ვერ იქნება ვერაფერი, თავადაც არ არიან ჩამოყალიბებულები. ეს დავინახე უკრაინის მაგალითზე. იქ რომ პრობლემები მოაგვარონ, მაგასაც ვერ წყვეტენ, ძიებაში არიან. ჩვენ რომ მოვითხოვოთ ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა, ასე ვერ იქნება, ამოცანა ერთი და იგივეა. ანუ ნატოში ინტეგრაციის საკითხი როგორც საქართველოში დგას, ისევეა უკრაინაშიც.

ხელისუფლებამ ხალხს უნდა განუმარტოს ყველა დეტალი მათთვის გასაგები ენით. საგარეო პოლიტიკურ კურსზე მოსახლეობის ინფორმირება რთული საქმეა. რუსეთი პირდაპირ კონფრონტაციაზე არ გადმოდის, ის მაშინ გვირტყამს, როცა ამერიკისთვის პასუხის გაცემა უნდა. მაგალითად, ამის შედეგი იყო 2008 წლის ომი. ამბობდა რუსეთი, არ აღიაროთ კოსოვოო, არ დაუჯერეს, დაგვარტყა, რაკეტების განლაგებაზეც იგივე მოხდა. ამ შეუთანხმებელ საკითხებზე იწყებს რუსეთი დარტყმას არა პირდაპირ, არამედ პარტნიორების კუთხით. ასეთი რამ გაკეთდა უკრაინაშიც. პარტნიორებზე დარტყმა პუტინის ახალი სტილია. ამის გამო მსოფლიო ომი არ დაიწყება, მაგრამ ის თავის ინტერესებს გაატარებს. უკრაინის უკან ამერიკა და დასავლეთი რომ არ ამოეკითხა, დარწმუნებული ვარ, პუტინი სხვა სტრატეგიას აირჩევდა. მას რომ არ დაენახა, მაინის პროცესში დასავლეთი ფუნთუშებს არიგებს, კბილების ღრჭიალს არ დაიწყებდა. ეს ყველაფერი უნდა აეხსნას ხალხს, რომ ჩვენი და ნატოს ურთიერთობა მხოლოდ ორი მხარის ურთიერთობა კი არაა, არამედ ერთი რგოლია მსოფლიო ურთიერთობების, რომლის გაუთვალისწინებლობაც ძალიან მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს.

*ჟანა ასანიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებაზე საუბარი ნაადრევია"



ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ნატო-ში გაწევრიანებაზე ამ ეტაპზე საუბარი არ არის.

ელმარ ბროკის თქმით, დებატები ამ ქვეყნების ნატო-ს წევრობაზე კონტრპროდუქტიულია.

„ახლა არ არის დრო, რომ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ნატო-ში წევრობაზე ვიმსჯელოთ. ნატომ კონცენტრაცია უნდა მოახდინოს კოლექტიური თავდაცვითუნარიანობის გაძლიერებაზე და ყველა წევრის საიმედო დაცვის უზრუნველყოფაზე. მხარს ვუჭერ პოლიტიკური და ფინანსური საშუალებებით უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ევროკავშირმა უნდა გაამართლოს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. ნატოს 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილებები კი ძალაში რჩება", – აცხადებს ბროკი. (ნიუპოსტი)

**GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.**

**GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.**

**აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.**






რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# გაბრაზებული ბიძინა ივანიშვილი სამ ადამიანს პოსტს დაატოვებინებს...

## რას უყვება წყარო „ალიას“ ივანიშვილის კულუარულ გადაწყვეტილებებზე

ლარის გაუფასურებას აღმასრულებელ ხელისუფლებაში გარდაუვალი ცვლილებები მოჰყვება. სანდო წყაროს ინფორმაციით, მზადდება სქემა, რაც შეიწირავს ეკონომიკური ბლოკის რამდენიმე გავლენიან ჩინოვნიკს. ქვეყნის ეკონომიკური პრობლემებისგან გამოსაყვანად მუშავდება ახალი სისტემა, რომელიც ჯერ მხოლოდ მონახაზშია, მაგრამ მანამდე „ალიასთვის“ ცნობილი ხდება, რომ 2-3 დღეში საკადრო ცვლილებებს მთავრობის ერთი ჯგუფი შეეწირება.

სანდო წყაროს ინფორმაციით, „იმის მიუხედავად, რომ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, განსაკუთრებული არაფერი ხდებაო, ძალიან გაბრაზებული ყოფილა იმაზე, რომ სისტემა არ მუშაობს. მას გარემოცვა სულ ფეხებზე ჰკიდია, ბიძინასთვის მთავარია, სისტემამ იმუშაოს. მაგალითად, ბიძინას ოთახში შუქი რომ არ აინთოს, შეიძლება იქაურობა დაანგრიოს“, – გვიყვება წყარო და „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილთან თბილი და ახლო ურთიერთობების მიუხედავად, ის აუცილებლად ჩამოაცილებს მართვის სადავეებს პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს, ზვიად ჯანყარაშვილს. უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას უკრაინაში საგანგებო მისიით მიავლენენ და როგორც წყარო ამბობს, საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ ჯანყარაშვილის კანდიდატურა არ განიხილება, ბევრს არაფერს ნიშნავს.

ასევე, საუბარია, რომ პოსტს ჩამოაცილებენ რეგიონული მართვის სამსახურის ხელმძღვანელს აკაკი ჩხენკელს. პრემიერმა ღარიბაშვილმა ჩხენკელი შს გენინსპექციის უფროსის მოადგილეობიდან გადმოიყვანა. მისი არსებობა, ფაქტობრივად, რამდენიმე დაინტერესებული ადამიანის გარდა, არავინ იცის. ის, რომ რეგიონული მართვის სისტემა საერთოდ არ მუშაობს, ბიძინა ივანიშვილმა თითოეულ ჩვენგანზე უკეთ იცის.

კულუარებიდან ჩვენთვის ასევე ცნობილი ხდება, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი შავლიაშვილიც გამოეთხოვება პოსტს, რომლის მიმართ ივანიშვილს კითხვები ჰქონია. წყაროს თქმით, იმდენად სუსტია ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა, რომ უამრავი ფული დარჩა ასათვისებელი. „მაგალითად, ხიდია გასაკეთებელი, ეს უამრავ ხალხთან უნდა შეათანხმო, ტენდერებში ჩაიხედეთ, რა ხდება, სამდღიან ტენდერებს აცხადებენ, მერე იწყებენ ყვირილს, – ჩქარა გააკეთეთ, თორემ ვიღუპებითო. მაგალითად, ავიღოთ ჭიათურა. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, ვიღაც აკეთებდა ინფრასტრუქტურულ პროექტს და ისევ იმათ ეძახიან, იმიტომ, რომ იციან საქმე, ამათგან განსხვავებით“.

წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს რამდენიმე სანდო ადამიანი ჰყოლია, რომელიც მისი ყური და თვალია. ისინი უმრავლესობასა და აღმასრულებელ გუნდს აკონტროლებენ და დავალებულ აქვთ, რომ ივანიშვილთან მიიტანონ რეალური ინფორმაციები. რამდენიმე მაკონტროლებლისგან ივანიშვილმა მიიღო ერთი და იგივე ინფორმაცია, რომ მთავრობაში მოკალათებულია ინიციატივას მოკლებული გუნდი, რეალურად, სხვა საქმეებით არიან დაკავებული, ყველაფერი გაჩერებულიაო... ამ თემაზე ოთხი დღის წინ თათბირი გამართულა ბიძინა ივანიშვილსა და იმ ადამიანებს შორის, ვისაც ევალება გუნდზე მიყურადება და თვალთვალი. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილი ყველა მოვლენის საქმის კურსშია. ამ შეხვედრაზე განსაკუთრებულად აქტუალური ყოფილა სიტყვები – „უმოქმედობა“, „ინფლაცია“, „შეუსრულებელი პროექტები“, „უსაქმურობა“ და „უპასუხისმგებლობა“.



ბიძინა ივანიშვილს წესად ჰქონია, რომ ინფორმაციას რამდენიმე წყაროსთან ამოწმებს. ეს კონკრეტული დეტალიც მას რამდენიმე წყაროსთან გადაუმოწმებია, ბოლოს კი ივანიშვილს საკუთარი დეიდაშვილისთვის, ბიზნესმენ უჩა მამაცაშვილისთვის დაუძახია და უკითხავს, შენ როგორ აფასებ არსებულ მდგომარეობასო და მასაც იგივე სურათი აღუწერია, – ესენი არაფერს არ აკეთებენო...

მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება და შესაძლოა, ჩვენ ძალიან მოულოდნელი სიურპრიზების წინაშე აღმოვჩნდეთ. წყაროსთან საუბარში „ალია“ დაინტერესდა, შეეხება თუ არა ბიძინა ივანიშვილის რისხვა ირაკლი ღარიბაშვილს? როგორც შევიტყვეთ, აქ სიტუაცია სხვა მხრივ განვითარდება, ღარიბაშვილს პრობლემა არ შეექმნება, მან შეიქმნა გარკვეული ქარიზმა და ის რომ დიდ ეკონომიკურ ძვრებს ვერ მოახდენდა, ბიძინა ივანიშვილმა იცოდა. ბიძინა ეტყვის, შენ ეკონომიკურ გუნდს დაანებე თავი, ეს ხალხი იქნება ჩემი და შენ მიხედე პოლიტიკასო.

ბიძინა ივანიშვილი კერძო საუბრებში თურმე ამბობს, რომ თუკი არ შეიცვალა მმართველობის სისტემა, 2016 წელს მისი გუნდი არჩევნებს წააგებს. როგორც სანდო წყარო გვიყვება, ბიძინა ყველაფერს გააკეთებს, რომ შექმნას სისტემა, რომელიც იქნება გამართული. ივანიშვილი ვერ მიდის იმ ნაბიჯზე, რომ დაშალოს პარლამენტი, მას რაღაც აჩერებს, თუმცა 2016 წლამდე მას შეუძლია გააკეთოს ასეთი რამ: 2015 წლის ბოლოს დაშალოს შსს და უშიშროება ცალკე გამოყოს, რაც „ოცნების“ პროგრამაში იყო ჩადებული.

მოკლედ, წყაროს მტკიცებით, ივანიშვილი არ არის კმაყოფილი არსებული გუნდით, არც პარლამენტში და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში და სერიოზულ სვლაზე ფიქრობს. უმრავლესობა, რომელიც, ფაქტობრივად, გია ვოლსკისა და მანანა კობახიძის იმედადღა დარჩა, ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას ველარ უძლებს. ასე რომ, უახლოეს დღეებში მოედნის გასუფთავება იწყება, ამ პროცესს კი რამდენიმე ფიგურანტი შეეწირება, მათ შორის, ალბათ, ნოდარ ხადურიც, რომელმაც ქვეყანა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად წარმოუდგენელ კრიზისამდე მიიყვანა – ლარი ასეთი გაუფასურებული ბოლო რამდენიმე წელია, არავის ახსოვს.





ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### „ეკონომიკას პრობლემები აქვს და მკურნალობა სჭირდება“



დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ მსოფლიოში სრულიად ჯანმრთელი ეკონომიკა არავის აქვს:

„შემიძლია ვთქვა, რომ ზოგადად, რა პრობლემებიც აქვს ეკონომიკას, ეს ლარის კურსის ცვლილებაშიც გამოიხატება. მსოფლიოში სრულიად ჯანმრთელი ეკონომიკა არავის აქვს. ეკონომისტებს უყვართ ავადმყოფთან შედარება – როცა პირი დაავადებულია, მას შეიძლება მაღალი პულსაცია ჰქონდეს. საქართველოს ეკონომიკის პრობლემები ამ ეტაპზე ლარის კურსის ცვალებადობაში გამოიხატა და ცხადია, მას გარკვეული მკურნალობა სჭირდება. არის როგორც შიდა ასევე საგარეო ფაქტორები. გაცვლითი კურსის ცვლილება ყველა მეზობელ ქვეყანაში ხდება, დოლარი მყარდება, თუმცა რიგი ფაქტორები როგორიცაა ინვესტიციების სიმცირე, ექსპორტის შემცირება და იმპორტის გაზრდა ამაზე დამატებით გავლენას ახდენს. მარტივი მდგომარეობა არ არის, რადგან კურსი რეალურად შეიცვალა, მაგრამ არ მგონია, კიდევ შორს წავიდეს – არის პიკის ფარგლებში“, – განაცხადა ონოფრიშვილი.

რაც შეეხება საკითხს, ახდენს თუ არა გავლენას ლარის გაცვლით კურსზე სახელმწიფო, ის პასუხობს:

„ორი წელია, რაც ბიუჯეტი არათანაბრად იხარჯება. ეს ბიუჯეტისთვის პრობლემაა და კურსზე გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. კარგია, მომავლისთვის ბიუჯეტის უფრო კარგი დაგეგმვა მოხდეს, რაც მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს არ ეხება. ეს ეხება იმ უწყებებსაც, რომლებიც დაფინანსებას ითხოვენ და საქმე საქმეზე რომ მივა, ფული ანგარიშზე არის, მაგრამ ვერ ხარჯავენ. ეს გარკვეული პრობლემაა, რაც 2 წელია გრძელდება და ამას მთავრობამ უნდა მიხედოს“, – განაცხადა ონოფრიშვილმა (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### ივანიშვილი „რესპუბლიკელებსა“ და პრეზიდენტზე



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ე.წ. მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ეხმაურება.

„ვერც ერთ ქვეყანას ვერ ნახავთ, სადაც ხალხი არ შფოთავდეს იმაზე, რომ მათ შეიძლება უსმენდნენ. საქართველოც არ არის გამორჩეული, მაგრამ ჩვენ არ ვართ უარესების რიცხვში. ის, რაც ხდებოდა პარლამენტში, არის დემოკრატიულობის ზეიმი. ეს იყო ძალიან კარგი, რომ ყველა პარტიამ მოახერხა, საკუთარი უნარის ჩვენება. ყველა კანონი განვითარებას საჭიროებს და მომავალში კიდევ გვაქვს დრო, რომ ეს კანონიც დაიხვეწოს. ნახევრად იუმორით გეტყვით, რომ, რაც ჰქონდა პოზიტივი ამ კანონპროექტის განხილვას, „რესპუბლიკელებმა“ და პრეზიდენტმა მოახერხეს და ძალიან მოკლე დროში ახალი პროექტების ბევრი ვარიანტი წარმოგვიდგინეს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის „ხუმრობას“ თინა ხიდაშელი ეხმაურება:

„ერთი რამ შემიძლია გითხრათ, საერთოდ, ხუმრობებზე კომენტარს არ აკეთებენ. ხუმრობა აღვიქვი, ზუსტად მივხვდი, რაც იგულისხმა, მეც გამეცინა და სასიამოვნოა. უფრო სასიამოვნო იყო აღნიშნულ თემაზე მისი განცხადების მეორე ნაწილი, სადაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებული რეფორმა არ დასრულებულა, რომ შესაბამისი კანონი დასახვეწია და მასზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ეს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის განცხადებაა, რომელმაც იცის ფასი პრობლემისაც და პრობლემის მოგვარებისაც. ბუნებრივია, მივესალმები ყველა ადამიანს, ვისაც მსგავსი დამოკიდებულება გააჩნია მნიშვნელოვანი და სერიოზული თემების მიმართ. ერთი წამით არ გამკვირვებია და ეჭვი არ შემპარვია, რომ ბიძინა ივანიშვილს ასეთი პოზიცია ექნებოდა“, – განაცხადა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

# „ოცნების“ მთავრობის სამი ეკონომიკური შეცდომა

## რისთვის არის გასაყრელი 1 მილიონ ბიუჯეტიანი 41-კაციანი ეკონომიკური საბჭო



ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ ყოველ დილით ლარის კურსი 1-2 პუნქტით გაუფასურებული უნდა დაგვხვდეს. ზოგისთვის ეს მოგებაა, ზოგისთვის – წაგება, ზოგისთვის კიდევ გალატაკება. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ვინ რომელ კატეგორიაში ჯდება – მაგალითად, ვისაც დოლარი აქვს ოხრად, ის მოგებაშია, ვისაც ლარი აქვს, ის წაგებაშია, ხოლო მოსახლეობის 70 პროცენტი გალატაკების გზაზეა. მეტიც, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის საერთოდ არაფერი ხდება:

„ერთ კვირაში ხდება რაღაც, უამრავი განცხადება გაკეთდა. არავითარი აჟიოტაჟი არ არის, ეკონომიკა ალიარო, მაგრამ, როგორც ჩანს, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილი მართალი იყო, როცა ნოდარ ხადური ფინანსთა სამინისტროდან გამოაპანღურა. მაშინ საქმე ეხებოდა სარჩელებს, რომლებიც შეტანილი იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ სასამართლოში და პროცენტულად მზარდი დავალიანების მქონე ბიზნესმენებისგან მაქსიმალური თანხის ამოღებას ისახავდა მიზნად. სააკაშვილმა იმჟამინდელ ფინანსთა მინისტრს დაავალა, სარჩელები უკან გამოეხმო, მაგრამ ეს პროცესი ჭიანურდებოდა მისი მოადგილის, ნოდარ ხადურის მეცადინეობით: „დღეს ჩვენ გავაპანღურეთ ნოლაიდელის ერთ-ერთი მოადგილე, ხადური, რომელიც ბლოკავდა ამ საკითხს, მაგრამ მე მთავრობას, ანუ ექსპორტი, ტურიზმი, გადაზიდვები, ინვესტიციები. თუ ვალუტა არ შემოვიდა ეკონომიკაში, ეროვნული ბანკი ხომ არ დახატავს? ლარის მასის კონტროლია მისი მოვალეობა. ამ დღეებში 80 მილიონი დოლარი გაიყიდა და ფულის მასა იმდენად შემცირდა, რომ კრიტიკულიც კია ეკონომიკისთვის. მოხდა ე.წ. დემონეტიზაცია, მეტი რა ქნას? თუ მთავრობამ არ იმუშავა, რომ ქვეყანა გახდეს შიდა თუ გარე ინვესტორებისთვის მიმზიდველი, ვინ შემოიტანს ფულს, ვინ წამოიწყებს ბიზნესს? სადაა ინვესტიციები, ან რა დახვდება აქ ინვესტორს ისეთი მიმზიდველი, რომ სხვა ქვეყანას საქართველო არჩიოს? დარეგულირებული, მთავრობის მიერ დაფინანსებული ბიზნესი? ეს ხომ უკვე გავიარეთ ერთხელ? ლარის დევალში და იდეებში. მოკლედ, ამ ხელისუფლების ბედს ლარი და ბიუჯეტი გადაწყვეტს.

**— ესენი ამბობენ, ჩვენ იგივეს ვერ გავაკეთებთ, მაშინ რეკეტი იყო, ბიზნესში ერეოდნენო და ასე შემდეგ. ივანიშვილმა, რომელმაც მილიარდები იშოვა, ამ ეკონომიკას ვერაფერი გაუგო, თუ რა უბედურებაა? ან კიდევ მცოდნე ხალხი დაილია?**

– თუ ვინმეს ჰგონია, რომ ხალხს საჭმელზე მეტად ის ადარდებს, ვის დანიშნავენ უკრაინაში მინისტრად, ძალიან ცდება. საკუთარ ვიწრო წრეში რაზეც დარდობენ და რა საკითხებზეც იხარშებიან, ჰგონიათ, ეს აინტერესებს მთელ სამყაროს. შეიცვალა ვითარება, დაკარგეს რეალობის შეგრძნება. მოკლედ, ეს მთავრობა უკვე ის თამრო აღარ არი... ეს გელა ზედელაშვილის სტილში. ახლა უცხოელი მრჩევლებია საჭირო, რამდენრაღაცით ძველ დროს გაგვახსენებს. ისე, შუქი ჩემთან ხანდახან ქრება. იმედია, არ მოუხშირებს. უცხოელები გონებას გამოასწორებენ. ესაა ნომერ პირველი პრობლემა – ხედვა.

**— გულახდილად მითხარით, კაცს, რომელმაც ამდენი ფული იშოვა, როგორ გაექცა ეკონომიკა ხელიდან?**

– მოკლედ, დაგროვდა ორი წლის განმავლობაში შეცდომები. წყალი რამდენიც არ უნდა აცხელო, 99 გრადუსამდე მაინც წყალია. უბრალოდ გროვდება რაოდენობრივად გრადუსები. საკმარისია, დაემატოს ერთი გრადუსი და უკვე ვიღებთ სხვა თვისობრიობას – ორთქლს. ეს ერთი გრადუსი შეიძლება ყოფილიყო სავიზო შეზღუდვები, ან გადმორიცხვები, ან ინვესტორების პაუზა, ან ბიუჯეტის დეფიციტი, ან აგრესიული შიდა გარჩევები და ასე შემდეგ. ხომ ხედავთ, ერთი კი არა, 5 გრადუსი დაგროვდა. კენტავრული ეკონომიკის ხანაში შევედით: ტანი ძველი, თავი – ახალი.

არის მყარი, ლარის კურსი მერყეობს, დოლარი მყარდება ბევრ სახელმწიფოში, მსგავსი ხდება საქართველოშიც. განმარტებები ფინანსთა მინისტრმა და სხვებმა გააკეთეს. ყველაფერი ნორმალურია, არაფერს არ ნიშნავს ცუდს, კარგად მუშაობს მთავრობა“.

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს... თუ ყველაფერი ნორმალურია და ლარის დაცემა არაფერს ნიშნავს, მაშინ რატომ ძვირდება ცხოვრება? დიახ, ამის შესახებ გააკეთეს განმარტებები ფინანსთა მინისტრმა და სხვებმა, მაგრამ ხელისუფლებიდან ჯერ ადამიანურ ენაზე განცხადება არავის გაუკეთებია.

მათ შორის, გაუგებარი გამოთქმებით ყველაზე მეტად ნოდარ ხადური გამოირჩევა: „ლარის კურსის შესახებ ვანგას ჰკითხეთ, ვანგას“, „ლარის კურსი ჩემს კომპეტენციაში არ შედის“, „ჩვენი ფისკალური პოლიტიკა არის ზომიერი“ და ასე შემდეგ. საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, რომ ნოდარ ხადური ეკონომიკისა და ფინანსების გაგებაში არ არის, ის მხოლოდ პრემიების გამოწერაში ერკვევა კარგად. ეს როგორ უნდა გავაფრთხილე ნოლაიდელი, რომ მსგავსი რამის კიდევ ერთხელ გამეორების შემთხვევაში პირადად აგებს პასუხს“.

როგორც ჩანს, მეორედ გაპანღურების დრო ახლოვდება, სანამ მაგ ცინიკოსს არ მოვიშორებთ, ალბათ, არაფერი გვეშველება. ხადური დღეს პანიკის „აწევაში“ იმ ექსპერტებს ადანაშაულებს, რომლებიც არასახარბიელო მომავალს გვიწინასწარმეტყველებენ. ვატყობ, მალე ხადური სრულიად საქართველოს მოსახლეობას დაგვადანაშაულებს არა მხოლოდ ლარის „გაუპატიურებაში“, არამედ ეკონომიკის დაქცევაშიც.

სადამდე მიგვიყვანს ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებები და არის თუ არა რეალობას მოწყვეტილი თვით ბიძინა ივანიშვილიც კი?

**„ალიას“ „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი“, რომან გოცირიძე ესაუბრა:**

– ინფლაცია ეხება ეროვნულ ბანკს, ხოლო დანარჩენი ეხება ვაცია პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური კურსის ცვლილებასთან.

ერთი რამ უკვე ნათელია. ეროვნულმა ბანკმა ინტერვენციების განახლებით მინიმუმამდე დაიყვანა მიმოქცევაში არსებული ლარი, რაც აუცილებლად იმოქმედებს უარყოფითად ეკონომიკის ზრდაზე. უკვე ვერ ვიტყვით, რომ ფული აქვთ. გადასახადებშიც დიდი ჩამორჩენაა. ფული აქვთ პოტენციურად. უცხოური კრედიტები გამოყოფილია, მაგრამ არ იძლევიან სამუშაოების შეუსრულებლობის გამო. სამწუხაროდ, მომავალი ორი წელიწადი შეცდომების გასწორების წელი იქნება და არა ზრდის.

**— გადასახადების მხრივ რა პრობლემებია? ან რას ნიშნავს, უცხოური კრედიტები გამოყოფილია სამუშაოებში და ვერ ასრულებენ? რატომ? რა სჭირთ?**

– ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც მუნიციპალური, ასევე სახელმწიფო მასშტაბის მშენებლობები. მართვა მოშლილია. მთავრობის მაკოორდინირებელი როლი არ ჩანს. დეფიციტია კადრებიმე პროფესიონალი სჭირდება პრემიერ-მინისტრს. 41-კაციანი ეკონომიკური საბჭო უკვე ღიმილისმომგვრელი გახდა. ამ ფულით ნობელის ლაურეატებს მოვიწვევდი.

**— 41 კაცი ჰყავთ და ფულს უხდიან?**

– კი, ეკონომიკური საბჭოა შექმნილი, სადაც სულ ქართველები არიან, 1 მილიონ ლარს უხდიან.

**— ეს 41 კაცი რას აკეთებს?**

– ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და ქაღალდებს ამზადებენ.

**— რატომ მაინცდამაინც 41, საარჩევნო ნომერია? ერთი ჭკვიანი არ გამოერია ამდენ ხალხში?**

– სად არის ის ცენტრი, სადაც ეკონომიკური აზრები მუშავდება? ამ როლს ასრულებს ფინანსთა სამინისტრო? ეკონომიკის სამინისტრო? ეს საბჭო? არც ერთი. ძველის ინერციით და გზადაგზა კორექციით მიდის ცხოვრება.

**— ბატონო რომან, უცხოელები რას გამოასწორებენ? ინვესტიციებს ეგენი ხომ ვერ მოიზიდავენ? კონკრეტულად მათ რა უნდა გააკეთონ?**

– ასე თუ გაგრძელდა, მესამე წელი იქნება უარესი, მეოთხე

**კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დასაწყისში ვახსენე: კონკრეტულად ვინ დარჩება ლარის კურსით მოგებული და ვინ დარჩება წაგებული? როგორც „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, ნოდარ ჭიჭინაძე ამბობს, მოგებულნი დარჩებიან: ექსპორტიორები, დეპოზიტორები — დეპოზიტების 60% უცხოურ ვალუტაშია განთავსებული, დანაზოგების რეალური ღირებულება გაიზრდება.**

**წაგებულნი დარჩებიან: მოსახლეობა, რომელსაც გაუძვირდება იმპორტი; მსესხებლები — სესხების 60% უცხოურ ვალუტაშია, უდიდესი ნაწილი დოლარშია გაცემული და მსესხებლებს უძვირდებათ კრედიტის მომსახურების ხარჯები. ჩვენ არ ვიცით, როგორი მრჩევლები ჰყავს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, შეგვიძლია დავამშვიდოთ, ის არავითარ შემთხვევაში არ არის წაგებაში.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „უკლებას გადაყენების თხოვნით პრეზიდენტისთვის არ მიუმართავთ“



პრეზიდენტის მრჩეველი, თენგიზ ფხალაძე, უკრაინაში საქართველოს ელჩის მიხეილ უკლებას გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.

„უკრაინაში საკმაოდ პროფესიონალი კოლექტივია და ძალიან მნიშვნელოვანია ის სამუშაო, რომელსაც ჩვენი საელჩო ეწევა. არ ვიცი კონკრეტულად რაზეა საუბარი. თუ რომელიმე ელჩს როტაციიდან გამომდინარე უწევს თანამდებობის დატოვება, არ ვიცი. ეს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არის გასავლელი, ამ საკითხზე კონსულტაციები ჩვენთან არავის გაუვლია“, – აცხადებს ფხალაძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასამართლომ პერტაიას 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ რუსლან პერტაიას ქურდობის ბრალდებით, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოსამართლის გადაწყვეტილება პერტაიას ოჯახმა გააპროტესტა და აქცია გამართა.

საქმე დაახლოებით 6 თვის წინ მომხდარ ფაქტს ეხება. როდესაც სამართალდამცველებმა პერტაია 2 ტომარა თხილის ქურდობისთვის დააკავეს. ამ ხნის განმავლობაში პერტაია თავს უდანაშაულოდ აცხადებდა და სიმართლის დამტკიცებას სხვადასხვა გზით ცდილობდა. მან ქუთაისის №2 საპყრობილეში რამდენჯერმე თვითმკვლელობაც სცადა, მუცელი გამოიფატრა, შიმშილობდა 2 თვის განმავლობაში, რის გამოც 29 კილო დაიკლო.

ბოლო სასამართლო სხდომაზე პერტაია პროცესზე სამართალდამცველებმა ინვალიდის ეტლით მიიყვანეს, რა დროსაც პერტაიამ სკანდალური განცხადება გააკეთა და თქვა რომ, მისით პროკურატურა იყო დაინტერესებული და მას ზუგდიდის დატოვებას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პატიმრობაში დატოვებით ემუქრებოდნენ. პერტაიას უდანაშაულობას მისი ოჯახის წევრებიც ამტკიცებდნენ და პროტესტის უკიდურეს ფორმებს მიმართავდნენ.

რუსლან პერტაიას ადვოკატის, ჯიტა გულუას განცხადებით, ის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენს არ ეთანხმება და გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას გეგმავს. (ნიუპოსტი)

# განათლების სამინისტროს სქემა

## როგორ აპირებენ მასწავლებლებისთვის ხელფასების შემცირებას

**რატომ შეიძლება დაკარგონ ხელფასი პედაგოგებმა? რა პრობლემები ექმნებათ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს? სად იკარგება მე-12 კლასელების ვაუჩერებისთვის გამოყოფილი თანხის ნაწილი? რა საკითხების შესწავლა სთხოვეს პარლამენტის განათლების კომიტეტს?**

**„ალიას" ესაუბრება მასწავლებელთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი დავით ფერაძე:**

– ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 3-4 ნოემბერს განათლების სამინისტროში იბარებდნენ სკოლის დირექტორებს და ამ შეხვედრის დროს მათ გააცნეს პროფესიული განვითარების ახალი სქემის დეტალები. ამ დროს დეტალებს კი არ აცნობენ, თავისთვის საჭირო საკითხებზე ელაპარაკებიან. სერტიფიცირებულ მასწავლებლებს 1000 მთლიანი 22000 სერტიფიცირებული მასწავლებლების 25%-ს წარმოადგენენ, ანუ მათი რიცხვი განსაკუთრებით დიდი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, სამინისტროს მათთვის ეს ფულიც ენანება. თუ ძალიან მოინდომებს პედაგოგი, მოემზადება და სერტიფიცირებას გაივლის, მოხვდება არა პირველ, ან მეორე საფეხურზე, არამედ მესამე კარიერულ საფეხურზე, ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეუნარჩუნდებათ ეს თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ისიც წაერთმევათ, რაც აქვთ. ასეთი პედაგოგები კი ცოტანი არ იქნებიან.

**— კი, მაგრამ, რასაც** ეს საკითხი, ეს დიდ ქაოსს გამოიწვევს.

**— კი, მაგრამ სამინისტრო საკუთარი ჯიბიდან ხომ არ აძლევს პედაგოგებს ამ ფულს და რა ხდება?**

– საკუთარ ჯიბეზე მერე გადაანაწილებენ ამ ფულს, რა პრობლემაა? ბიუჯეტის პროექტში წარედგინათ თავიანთი ცვლილებები, ეთქვათ, რა მოხდებოდა? ორი დღის წინ ვაშინგტონში გაზეთს მისცა ინტერვიუ თამარ სანიკიძემ და იქ თქვა, არაადეკვატურია დაფინანსებაო და, შე დალოცვილო, ამდენი ხანია, მაგას საქართველოში ჩვენ ვამბობთ და მაინცდამაინც ვაშინგტონში უნდა გეთქვა, რომ ესა ასეა? და თუ არაადეკვატურია, უთხარი ეს ჩვენს სახელმწიფოს და ამ შემთხვევაში სანიკიძის ოპოზიცია კი არ ვიქნებოდით, გმირად გამოვაცხადებდით და მხარში დავუდგებოდით. ცხადია, გროვებ, მაინც დაკარგავ მასწავლებლობას. ანუ, ერთი სიტუაცია მეორეთი ჩაანაცვლეს. რამდენი ხანია, ვითხოვ, რომ ზოგადად საბაზო ხელფასი უნდა გაიზარდოს მასწავლებლების და ამ დროს უკვე დადგა საკითხი, გასცემენ კი სერტიფიცირებულების ხელფასებს? თუნდაც იმ სერტიფიცირებული პედაგოგების 60-ლარიან დანამატს? ორი დღის წინ მოვაწყვეთ აქცია და სპონტანურად საკმაოდ ბევრი მასწავლებელი მოვიდა. მოთხოვნა გვქონდა, არ დადგეს სასერტიფიკატო ხელფასების გაცემა ეჭვქვეშ, რადგანაც ეს თანხა ბიუჯეტში არ ჩანს და მერე რა გამოაჩენს? კარგია, რომ უკვე სხვა მასწავლებლები შემოემატნენ ამ მოთხოვნას, რადგანაც აქამდე თუ სანიკიძე ქირქილებდა, რომ ერთი დავით ფერაძე აპროტესტებს ამას მარტოო, რამაც მათ დაუსჯელობის გრძნობა სისთვის უკვე კურსდამთავრებულებად რომ ითვლება მე-12 კლასელი და ის მოსწავლე უკვე აღარ არის, მაშინდელი სამინისტრო რიცხავდა მაისში ამ ფულს. ახლა ეს მესამედი ნაწილი გაამრავლეთ 40 000 მოსწავლეზე. ახლაც ასე ხდება.

**— გამოსავალი? ვინმეს მიმართეთ ამის შესახებ, რასაც მე მიყვებით?**

– გამოსავალია სამინისტროს გუნდის სრული შეცვლა და გადახალისება, მთავრობამ სანიკიძე უნდა შეცვალოს. პარლამენტის განათლების კომიტეტს ოფიციალურად მიმართა მასწავლებელთა საკოორდინაციო ცენტრმა, რომ შეიქმნას ოფიციალური კომისია, რომელიც გამოიკვლევს, რა დარღვევებით უტარდებოდა ნებისმიერი კონკურსი იგივე რესურსცენტრების დირექტორებსა და თავად სამინისტროში საჯარო მოხელეებს და ამ კომისიამ ნახოს,



და 200 ლარი აქვთ დანამატი და სამინისტრო ფიქრობს, ეს თანხა არ მისცეს. შაშკინისა და სააკაშვილის დროს დაიწყო სერტიფიცირების პროცესი და იმ მასწავლებელს, რომელიც დამატებით ინგლისურ ენას ჩააბარებდა და ამავე დროს კომპიუტერის მინიმალურ ცოდნას გამოამჟღავნებდა, 1000 ლარი ხელფასი ენიშნებოდა. წელს განათლების ზოგად კანონში შევიდა ცვლილება, თუმცა სქემის დამტკიცებისგან პარლამენტმა თავი შეიკავა, მაგრამ ეს სქემა პირველ თებერვლამდე უნდა წარედგინოს მთავრობას და ამის შემდეგ სქემა უნდა ამოქმედდეს და უნდა მოხდეს მასწავლებლების სელექციებად დაყოფა.

**— და რა შუაშია აქ 1000 და 200-ლარიანი მასწავლებლები?**

– გეტყვით, რა ხდება: აი, ამ ყველაფერის შემდეგ დაისმება კითხვა: რა ვუყოთ ამ 1000-ლარიან ან 200-ლარიან მასწავლებლებს? ზოგადად, ასეთი დანამატიანი მასწავლებლები **თქვენ ამბობთ, ამ შემთხვევაში, სამინისტრო წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივ მხარესთან: კანონის მიხედვით, იმ პედაგოგს, ვისაც ეს დანამატი ეძლევა, ხელთ აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მიერ ბეჭედდასმული ოფიციალური სერტიფიკატი, რომელსაც 8 წელი აქვს ოფიციალური ვადა. რატომ პირდაპირ არ დაიბარეს სამინისტროში ეს პედაგოგები და რატომ მათ არ უთხრეს ამ სიახლის შესახებ?**

– ეგ შეკითხვა მეც მაქვს, ან რატომ არ გაჟღერდა ეს ამბავი, როცა წინასწარ შერჩეულ 300 პედაგოგს შეხვდა მინისტრი? ან როცა სახელფასო პოლიტიკის პრეზენტაცია ჰქონდა განათლების სამინისტროს, იქ რატომ არ ითქვა, რა ეშველებოდათ ასეთ სერტიფიცირებულებს? სქემაში რატომ არ არის მითითებული ამის შესახებ? ყველგან ჩნდება შეკითხვა: რატომ? იმიტომ, რომ რომ ესენი შეშინდნენ, რომ ეს ამბავი დიდ არევ-დარევას გამოიწვევდა პედაგოგებში. ახლაც რომ გამჟღავნდება პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ კანონიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც სერტიფიცირებას ითვალისწინებდა.

**— გასაგებია, მაგრამ ამდაგვარმა პედაგოგმა რომ უჩივლოს სამინისტროს სასამართლოში, რა შანსი აქვს?**

– მოიგებს და იქით გადაახდევინებს დანაკლისს, რადგანაც მათ დოკუმენტი აქვთ ხელში, ამას 8-წლიანი ვადა აქვს, ამას წყალი არ გაუვა.

**— თავის მხრივ, თავად სერტიფიცირების საკითხიც ხომ კითხვებს აჩენდა?**

– ეს სხვა საკითხია, თან 8 წელი რომ გავიდოდა, ისინი კარგავდნენ მასწავლებლობის უფლებას, თუ არ განაახლებდნენ პედაგოგობას იგივე სერტიფიკაციის გამოცდით. აი, ეს უნდა გაუმჯობესებულიყო და გააუმჯობესეს კი არა, უარესი გააკეთეს და სხვაგვარად გართმევენ მასწავლებლობას: თუ სქემის საფეხურებს ვერ გაივლი და კრედიტებს ვერ დააგაუჩინა, ახლა ჩემ გვერდით სხვა მასწავლებლებიც დადგნენ. მაინტერესებს, ჩვენთვის რომ ენანებათ, თავისთვის რატომ არიან ხელგაშლილები? ცნობილია, რომ მე-12 კლასელებიდან ხდება თანხის „მოტეხვა", თან „გაპრავებულად" და კანონიერად.

**— როგორ?**

– როცა განათლების სამინისტრო გადავიდა ვაუჩერულ სისტემაზე, რაც გულისხმობდა სკოლების დაფინანსებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივით, თავიდან ერთ მოსწავლეზე გამოიყო 300 ლარი, მერე 400 ლარამდე გაიზარდა ეს ფული და სკოლაში ეს ვაუჩერი მოსწავლის ანგარიშზე ჯდებოდა ორჯერ: ერთი სწავლის დასაწყისში და მეორე – მეორე სემესტრის დასაწყისში. შაშკინმა სამ ეტაპად დაყო ვაუჩერის გადარიცხვის პროცესი და მესამე ეტაპი დაამთხვიეს 20 მაისს, ანუ მაშინ ჩაიდო ეს ეშმაკური ხრიკი. ოცი მაიდღევანდელი პირველი პირის ხელმოწერები ამ დარღვევებზე. უახლოეს დღეებში ჩვენს ამ შეთავაზებაზე პასუხს ველოდებით.

**ამის შემდეგ კომენტარისთვის დავუკავშირდით განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნათია ასათიანს:**

– სერტიფიკატები აისახება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, ეს ძალიან კარგად განემარტათ პედაგოგებს და დარწმუნებული ვარ, არეულობის საფუძველი არ ექნებათ. რომ აღელვებულიყვნენ, მოგვმართავდნენ და ჩვენგან მიიღებდნენ განმარტებას. რასაც დავით ფერაძე ამბობს, ეს კიდევ ერთი პატარა ტყუილებისგან შეკრული დიდი ტყუილია, რასაც ეს ადამიანი უკეთებს ტირაჟირებას და რა გავაკეთო, რა ვქნა?

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყავის სმა კულტურის სამინისტროსთან



კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია-პერფორმანსი, „ყავის სმა კულტურის სამინისტროსთან" გაიმართა. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, კულტურის სამინისტროსთან ყავის სმის ცერემონიალით, უწყების არამიზნობრივი ხარჯები და კოლექტივის უსაქმურობა გააპროტესტეს.

მათივე თქმით, სამინისტროდან გამოთხოვილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სხვა სამინიტროებისგან განსხვავებით პირველ ადგილზე დგას ყავის სმაში. ოფიციალური დოკუმენტაციით, რომელიც საყდრისის კომიტეტმა მოიპოვა, 2013 წელს მიხეილ გიორგაძის უწყებამ 10 393 ათასი ლარის ყავა შეიძინა.

„ყავის სმა უსაქმურობასთან, ჭორაობასთან ასოცირდება. ყავას ადამიანი სვამს მაშინ, როდესაც განტვირთვა ან ვინმესთან საუბარი სურს, ან უბრალოდ საქმე არ აქვს. ყავის დალევა სამინისტროში პრობლემისა და საქმის არარსებობაზე მიანიშნებს. ეს არის კულტურის სამინისტროს ჩვეული პოლიტიკა, რომელიც მუდმივად დაკავებულია და საზოგადოებისთვის არ სცალია. აქცია მიმართულია სამინისტროს ინერტულობის წინააღმდეგ, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა კულტურის პოლიტიკასთან დაკავშირებით და დაკავებულია ყავის სმით". (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „ნუ გამოყრით ხალხს სახლებიდან"



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბანკების ხელმძღვანელებს თხოვნით მიმართავს, რომ ზამთარში ადამიანები სახლის გარეშე არ დატოვონ. პატრიარქმა ქადაგებისას გაჭირვებულ ხალხზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მასთან ხშირად მიდიან ადამიანები, რომლებმაც ბანკში სესხის გამო სახლ-კარი დაკარგეს.

„ხალხმა ბანკებში სესხები აიღეს და სახლები ჩადეს. ბანკს ისინი სახლიდან გამოჰყავს და ამ შუა ზამთარში ხალხი გარეთ რჩება. ვთხოვ ბანკის ხელმძღვანელებს, ზამთარში მაინც ნუ გააკეთებენ ამას. მოდიან შემდეგ ეს ხალხი საპატრიარქოში და ამის გამო ტირიან. ვთხოვთ ბანკების ხელმძღვანელებს, დაეხმარონ, აპატიონ ან სახლი არ იყოს გაყიდული", – აღნიშნა უწმინდესმა.

კათალიკოს-პატრიარქმა ბოლო პერიოდში ხალხში გახშირებულ აგრესიაზეც ისაუბრა და მათთვის მოთმინება და სიმშვიდე ითხოვა უფლისგან. უწმინდესმა ტაძრის, როგორც უფლის სახლის, მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„ტაძარი ეს არის კარიბჭე სასუფეველთან. ბედნიერია ის ადამიანი და ოჯახი, რომელიც დგას ამ კარიბჭის წინ, ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც გრძნობს ტაძრის მნიშვნელობას", – განაცხადა ილია მეორემ. პატრიარქის თქმით, ტაძარში განსაკუთრებული მადლი ტრიალებს, „მადლი სულისა წმინდისა".

„მე მახსენდება, როდესაც ვიწყებდით წმინდა სამების ტაძრის მშენებლობას, როდესაც ჩვენ ტაძრის ასაშენებლად ამოვიღეთ ღრმული, ბევრი ფიქრობდა, რით უნდა ამოვსებულიყო ეს ღრმული, შევძლებდით თუ არა ტაძრის მშენებლობას. ჯერ კიდევ არაფერი არ იყო და ჩვენ ვგრძნობდით, რომ იმ ადგილზე განსაკუთრებული მადლი ტრიალებდა. ხალხს წასვლაც კი არ უნდოდა იქიდან. ღმერთმა ამოავსო და აგვიშენა ეს ტაძარი და ამასთან ერთად, ჩვენმა ხალხმა. საერთოდ რასაც აკეთებს ადამიანი, ეს არის მისი ავტოპორტრეტი, ეს იმას ნიშნავს, რომ სულიწმინდის ძალა უხვად არის გადმოსული საქართველოზე. ყოვლადწმინდა სამების ტაძარი უფალმა აგვაშენებინა", – განაცხადა უწმინდესმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მინისტრების მოადგილეებად ბურჯანაძის თანაპარტიელები ინიშნებიან“




„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ნინო ბურჯანაძის თანაპარტიელი დაინიშნა.

„ჯერჯერობით საზოგადოებისთვის სრულიად უცნობმა, თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ, საკუთარ პირველ მოადგილედ სწორედ ქ-ნი ბურჯანაძის პარტიის მმართველი საბჭოს წევრი ლევან ღირსიაშვილი დანიშნა. ის ფაქტი, რომ იმ პარტიის წარმომადგენელს, რომელიც ოფიციალურად გამოდის საქართველოს ნატოში ინტეგრაციის წინააღმდეგ, ჩააბარეს სწორედ ნატოსთან ურთიერთობები ჩვენი უკიდურესი შეშფოთების საგანია. ცნობისთვის, ბ-ნმა ღირსიაშვილმა საზღვარგარეთ საკუთარი სამსახური 2013 წელს მიატოვა სწორედ იმისთვის, რათა ბურჯანაძის პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში მიელო მონაწილეობა“, – ნათქვამია განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძის თანაპარტიელია ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია.

„საქართველოს ამომრჩეველმა ხმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში არა ნინო ბურჯანაძეს, ვლადიმირ პუტინის ოფიციალურ თანამოაზრეს, არამედ ბიძინა ივანიშვილს მისცა მის მიერ გაცემული საარჩევნო დაპირებების შესასრულებლად. აუცილებელია საქართველოს მთავრობამ გააკეთოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რასთან გვაქვს საქმე – ოკუპანტის ოფიციალური პარტნიორის ხელისუფლებაში ფარულ მოსვლასთან თუ ამ პოლიტიკურ ძალასთან „ქართული ოცნების“ დე ფაქტო შერწყმასთან“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

განცხადებას ნინო ბურჯანაძე პასუხობს: „არ ვაპირებ რაიმე კომენტარის გაკეთებას „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებებზე, რადგან ვთვლი, რომ ეს არის დამნაშავე ორგანიზაცია, რომელსაც არ აქვს არანაირი მორალური თუ იურიდიული უფლება, მოქმედ პოლიტიკურ ძალად იყოს წარმოდგენილი. მე არ მაინტერესებს, რაზე შფოთდება „ნაციონალური მოძრაობა“, მე ვიცი რომ ამ მოძრაობის ლიდერმა და მისმა ქმედებებმა დააქცია ქვეყანა და 2008 წლის ომი მოახვია თავს. ჩვენ როცა მოვალთ ხელისუფლებაში, უზრუნველვყოფთ, რომ სამართლიანობა აღდგეს ქვეყანაში. ასე რომ, „ნაციონალური მოძრაობის“ შიში ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის მიმართ ნამდვილად საფუძვლიანია“.

# რას შეცვლის სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება საქართველოსთვის?

**სომხეთის პარლამენტმა ევრაზიულ კავშირში შესვლის შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.**

**რას შეცვლის სომხეთის ევრაზიულ კავშირში შესვლა საქართველოსთვის, რა დადებით, ან უარყოფით შედეგებს უნდა ველოდეთ მეზობელი სომხეთის ამ გადაწყვეტილებისგან?**

**„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრა:**



– ევრაზიულ კავშირში სომხეთის გაწევრიანება, ევრაზიული კავშირის რეგულაციების ფარგლებში მოხვედრას ნიშნავს. ამიტომ ის რეგულაციები, რომლებიც დსთ-ში შემავალი ქვეყნების რეგულაციებს განსაზღვრავდა, მათ შორის ორმხრივი ხელშეკრულებებით, ალბათ, შეიცვლება, თუმცა, სომხეთ-საქართველოს მეზობლურმა ურთიერთობამ ამის გამო არ უნდა მიიღოს წვავე ხასიათი. ვფიქრობ, სომხეთი ეცდება საქართველოსთან ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში იმუშაოს. ასე რომ, სომხეთის ევრაზიულ კავშირში შესვლით, რაიმე სერიოზულ გართულებას არ უნდა მოველოდოთ.

**— მარტივად გკითხავთ. სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებით რას მოიგებს, ან წააგებს საქართველო?**

– არა მგონია, ამ საკითხმა, რაიმე დადებითი მოგვიტანოს, რადგან ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს ისეთი, რომ სომხეთის მეშვეობით გავიტანოთ ევრაზიულ სივრცეში. ამას ვამბობ წმინდა პრაგმატული მოსაზრებით. რა პროდუქციაც გვაქვს, ეს რუსეთში ისედაც გადის. ასე რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით არაფერს არ უნდა ველოდოთ.

საქართველო, არის ძირითადი სატრანზიტო ქვეყანა სომხეთისთვის, თითქმის ყველაფერი საქართველოდან შედის სომხეთში. ამიტომ სომხეთი არავითარ შემთხვევაში არ გააფუჭებს ურთიერთობას საქართველოსთან და ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ სომხეთ-საქართველოს ურთიერთობა სტაბილური და ურთიერთსასარგებლოო იყოს.

ზოგადად, სომხეთის ევრაზიულ კავშირში შესვლის მომენტი, ამ დროისთვის პოლიტიკურად დასანახი მომენტია, რადგან, თუ ევრაზიული კავშირი გაძლიერდება და მასში, როგორც არის მონახაზი, თურქეთიც კი გაწევრიანდება, მაშინ შეიქმნება სხვა ზონა და მერე შეიძლება ფიქრი სხვა ალტერნატიულ ურთიერთობაზე ამ კავშირში შემავალ სახელმწიფოებთან. მაინც მე ვფიქრობ, რომ ორმხრივი ურთიერთობები ეკონომიკური თვალსაზრისით უნდა შევინარჩუნოთ ყველა იმ ქვეყანასთან, რომლებთანაც ჩვენ ამ დრომდე გვქონდა ურთიერთობა.

*დიანა ლიპარტელიანი*

# რა ჯარიმების სისტემა ამოქმედდება იანვრიდან?

**რამდენით დაჯარიმდებით თქვენი ძაღლის ფეკალიების გამო? ვინ დაჯარიმდება რესტორანში სიგარეტის მოწევის გამო, მწეველი თუ რესტორანი? თავისავე მიღებულ რა კანონს არღვევენ დეპუტატები?**

**„ალიას“ პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძე ესაუბრა:**

**— ქალბატონო გუგული, როგორც გავიგე, იანვრიდან ახალი სანქციები ამოქმედდება. რა სანქციებზეა საუბარი?**

– სხვადასხვა სანქციებია, რომელიც ეხება როგორც ინდივიდუალურად ცალკეულ პიროვნებებს, ისე იურიდიულ პირებს. მაგალითად, ნაგვის გატანასა და სამშენებლო ნარჩენების გატანას შეეხება. ჩვენ შევეცადეთ, რომ არ ყოფილიყო ზოგადი, ყოფილიყო კონკრეტული. მაგალითად, თუ ადამიანი პირველად გადაყრის ნაგავს, 100 ლარით დაჯარიმდება, თუ მეორედ – 500 ლარით. სამშენებლო ნარჩენების გატანისთვის უფრო მეტია. ჩვენ შევეცადეთ, რომ უფრო მოწესრიგებული ყოფილიყო ნარჩენების გატანა და არ მომხდარიყო რაიონის და ქალაქების დანაგვიანება, ადამიანებს სცოდნოდათ, რა კონკრეტული ჯარიმები მოუწევდათ ამისთვის. კანონით დეტალურად არის გაწერილი ყველა ადმინისტრაციული დარღვევისთვის რა ჯარიმა იქნება განსაზღვრული. ქალაქი, სოფლები და გზები უნდა იყოს სუფთა, ამით ნამდვილად ვარ დაინტერესებული. იყო კამათი იმაზე, რომ თუ ჯარიმად დავაწესებდით 500 დოლარს, ხომ არ დარჩებოდა სანქცია სანქციისთვის და რეალურად, არავინ გადაიხდიდა? ითქვა, რომ ამ



თანხას ვერავინ გადაიხდის და ისიც საკითხავია, ვინ გამოავლენს ამას, რამდენად ადმინისტრირებულია ესო. ხშირად არსებობს სანქცია, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი ორგანო, რომელიც მას გამოავლენს. მაგალითად, ჩვენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევისთვის დაწესებული გვაქვს ჯარიმები. თვით პარლამენტშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არსებობს, ყველგან ეწევიან, სადაც გაუხარდებათ.

**— თუ პარლამენტი თავადვე არ ასრულებს თავისავე მიღებულ კანონს, სხვებს რატომ აიძულებთ ამხელა ჯარიმების გადახდას?**

– მე ვამბობ, რომ ყველგან, სადაც თავშეყრის ადგილია, იქნება ეს სალონი თუ რესტორანი, ჯარიმა 500 ლარი მაშინ ამოქმედდება, თუ განვსაზღვრავთ, რომელმა ორგანომ უნდა განახორციელოს ამ სამართალდარღვევის დაფიქსირება.

**— სანამ ჯარიმებს განსაზღვრავდით, ჯერ იმაზე არ უნდა გეფიქრათ, ამას ვინ გააკონტროლებდა?**

– ცხადია, ეს ხარვეზია. სიგარეტის მოწევაზეც არ არის განსაზღვრული, ვინ იხდის ჯარიმას, პიროვნება თუ დაწესებულება. მუნიციპალური ნარჩენების შესახებ მიღებულ კანონში სრული სიზუსტით განვსაზღვრეთ, რომ თუ ნარჩენს გადააგდებ და მიატოვებ, ჯარიმაა 80 ლარი, საცხოვრებელი ადგილიდან გადაყრა 100 ლარია, თუ მანქანიდან გადააგდებ – 120 ლარია. თუკი იურიდიული პირი ახორციელებს ამ დარღვევას – 500 ლარია. ანუ, კანონით ზუსტად გავწერეთ, რისთვის რამდენით დაისჯებით. ამიტომ თქმა იმისა, რომ ამდენი არ მეკუთვნის, შეუძლებელია, პირდაპირ წერია ეს დეტალურად. ძაღლის ფეკალური მასის გამო ჯარიმა 50 ლარია. ამას რომ გადაიხდის ადამიანი, მერე აღარ იქნება გზები ისეთი ბინძური, კაცმა რომ არ იცის, ფეხს რაში დგამს. უცხოეთში როგორც არის, ისე უნდა იყოს. ძაღლი რომ გამოგყავს სასეირნოდ, შესაბამისი საშუალებაც უნდა გამოძებნო, რომ მან არ დააბინძუროს გარემო. ამერიკაში როგორაა? ყველას ჰყავს ძაღლი, მაგრამ იქ რომ მსგავსი რამ მოხდეს, მეზობლები იჩივლებენ. მე მგონია, რომ გარემოს დაცვითმა სპეციალური ზედამხედველობის სამსახურმა უნდა განახორციელოს ეს ქმედება. ეს ნაწილიც შევიტანეთ კანონში, თუ ხელს შეუშლით ამ სამსახურს ქმედების განხორციელებაში და ოქმს არ დააწერინებთ, ესეც ჯარიმის სახით 5 000 ლარს ითვალისწინებს.

**— ხალხს როგორ უჭირს, ქალბატონო გუგული, ამაზე არ გიფიქრიათ?**

– ერთხელ რომ დააშავებს ადამიანი და გადაიხდის ჯარიმას, მეორედ და მესამედ არ გააკეთებს. მე ფსიქოლოგი ვარ და ზუსტად ასე ხდება, მეორედ სულ გაგახსენდება, რამდენით დაჯარიმდი იმისთვის, რის გაკეთებასაც აპირებ. ერთიც არის, კანონს აზრი არ აქვს, თუ მენტალობაც არ შეიცვალა. ამიტომ ეს არის გზა იმისკენ, რომ თავში მუდმივად ჰქონდეს ადამიანს. არ არის სასჯელი ლოიალური, მაგრამ არც უნდა იყოს. ნუ დაარღვევ და არ გექნება გადასახადი. შვეიცარიაში რატომ არის ასეთი იდეალური სისუფთავე? იმიტომ, რომ ყველა ზრუნავს გარემოზე. შეინახეთ ნარჩენი და მერე ჩააგდეთ ურნაში. ასეთი ტიპის შეგნება უნდა გაჩნდეს ქვეყანაში. ადამიანებს სჭირდებათ დამსჯელი მექანიზმი, რომ ჰქონდეთ რეფლექსი.

**— ეს სანქციები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა?**

– ხელშეკრულება იმდენად ვრცელია, ზუსტად არ ვიცი, ამაზე რა წერია, მაგრამ ამის აუცილებლობა ნამდვილად არსებობს. არ ვიცი, როგორ დაიწყეს და რა სანქციები ჰქონდათ ევროპაში, მაგრამ ფაქტია, რომ გამოუვიდათ, ასე გამოგვივა ჩვენც. ეს ჯარიმები არის გზა იმისკენ, რომ ადამიანის ცნობიერებაში შესაბამისი ცვლილება მოხდეს.

*ჟანა ასანიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ივანიშვილისთვის სიტუაცია მართლაც კარგია, მაგრამ საქართველო არის კრიზისში“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიგა ბოკერიას თქმით ბიძინა ივანიშვილის განცხადება იმის დასტურია, რომ მთავრობას პასუხისმგებლობისგან გაქცეული ადამიანი მართავს. უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი მიიჩნევს, რომ საქართველო არის კრიზისში, თუმცა ამას ბიძინა ივანიშვილი ვერ გრძნობს.

„ეს განცხადება არის დემონსტრაცია იმისი, რა პრობლემა დგას დღეს საქართველოს წინაშე, რომ ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელსაც მართავს ადამიანი, რომელიც გაექცა პასუხისმგებლობას, დაივიწყა ყველა თავისი დანაპირები. მას პრობლემები პირადად არ ეხება, პირადად ივანიშვილისთვის სიტუაცია მართლაც კარგია, მაგრამ საქართველო არის კრიზისში, ეკონომიკურში, პოლიტიკურში და ეს განცხადება არის დემონსტრაცია იმისა, რომ მას ეს არ ესმის და არ უნდა, რომ გაიგოს, სწორედ ამიტომ დემოკრატიული გზით ეს მთავრობა უნდა შეიცვალოს“, – განაცხადა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

## აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა



საქართველოს მოქალაქე ბაქოში უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ერთ-ერთი სახლის სარემონტო სამუშაოების დროს სამშენებლო ქვა გადმოვარდა, რომელიც სახლის მეპატრონეს ილჰამ იუსუფოვს დაეცა. ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ მოახერხეს (პირველი რადიო)

## რუსეთში ბიზნესმენი და საქველმოქმედო ფონდის ქართველი პრეზიდენტი მოკლეს



2 დეკემბერს ტვერში 56 წლის მიხაკო ჯანელიძის ცხედარი მისავე საკუთარ სახლში აღმოაჩინეს. ქართველი ბიზნესმენის და ფონდ „ყოველთა წმინდათა"-ს პრეზიდენტის ცხედარი მისი ფონდის ბუღალტერმა აღმოაჩინა. გარდაცვლილს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა და თავი ჰქონდა გატეხილი. გარდაცვალების მიზეზებს გამოძიება ადგენს, თუმცა ამ დროისთვის ცნობილია, რომ 29 ნოემბერს მიხაკო ჯანელიძის საცხოვრებელ ბინაში რამდენიმე ნიღბიანმა შეღწევა მოახერხა. ჯანელიძემ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა უშედეგოდ. თავდამსხმელებმა მასზე ძალა იხმარეს რის შემდეგაც ის გარდაიცვალა. ნიღბიანებმა ჯანელიძის საცხოვრებელი სახლი გაქურდეს. ქართული წარმოშობის ბიზნესმენი ადგილობრივ ქართულ დიასპორასთან არ ურთიერთობდა და ის ახლო ურთიერთობაში იყო ადგილობრივ სასულიერო პირებთან (პირველი რადიო)

## ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობაზე ერთი ადამიანი გარდაიცვალა




თბილისის ზღვაზე, ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობაზე ერთი ადამიანი გარდაიცვალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გარდაცვლილია მშენებელი, რომელსაც დენმა დაარტყა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მუშებს რკინის ხარაჩო გადაჰქონდათ, რომელიც სადენს გამოედო და მუშებს დენმა დაარტყა. გარდაცვლილის გარდა, შემთხვევის შედეგად დაშავდა 9 პირი, რომლებიც ინგოროყვას სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმების განცხადებით, მათ გულის უკმარისობა და დამწვრობები აღენიშნებათ.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება უკვე დაიწყო. (ინტერპრესნიუსი)

## „პოლიტიკური დევნის აღქმაც კი დაბრკოლებას შექმნის ნატოს წევრობისთვის"



ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, ჯეიმს აპატურაი, თავდაცვის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნების საქმეს ეხმაურება.

„შეშფოთებული ვართ თუნდაც იმით, რომ შეიძლება არსებობდეს აღქმა, რომ დევნა ხორციელდებოდეს პოლიტიკური ნიშნით. მთავარია, რომ პოლიტიკური დევნის შესაძლებლობა რეალურ ცხოვრებაშიც იქნას თავიდან აცილებული. აღქმაც კი არ უნდა არსებობდეს შესაძლო პოლიტიკური ნიშნით რაიმე მოქმედებაზე, რადგან ამან შესაძლოა, უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს და ფეხი მოიკიდოს ნატოს მოკავშირე ქვეყნების დედაქალაქებში. ეს დაბრკოლება იქნება ნატოს წევრობისთვის", – განაცხადა აპატურაიმ. (ნიუპოსტი)

## გროზნოში საქართველოს მოქალაქეს ტერორიზმისთვის ასამართლებენ



ჩეჩნეთში საქართველოს მოქალაქეს ორი ჩეჩენის გადაბირებასა და სირიის ომში ტერორისტების მხარეს ბრძოლაში ჩართვისთვის გაასამართლებენ. სასამართლო სკამზე 25 წლის ბესლან ცინცალაშვილი აღმოჩნდა, რომელსაც ტერორისტული საქმიანობის მხარდაჭერისთვის 10-წლიანი პატიმრობა ემუქრება. ძიების მიხედვით, ცინცალაშვილი ჩეჩნეთში ლეგალურად ცხოვრობდა და ის 2014 წლის ივლის-აგვისტოში შეეცადა, ორი ახალგაზრდა გადაებირებინა. ცინცალაშვილი გადაბირებულებს ყალბი პასპორტების დამზადებასა და სირიაში გადაყვანას ჰპირდებოდა. (პირველი რადიო)

## საქართველოს ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები უკრაინაში ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის სკოლას ხსნიან



„ქართველი რეფორმატორები უკრაინაში ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის სკოლას ხსნიან" – ამ სათაურით სტატიას ლიფე.ობოზრევატელ.ცომ აქვეყნებს.

„16 დეკემბერს, საქართველოს პოლიტიკოს-რეფორმატორების ჯგუფი უკრაინაში ახალი პროექტის პრეზენტაციას გეგმავს", – წერს გამოცემა.

2015 წლის დასაწყისიდან პროექტ „სამოქალაქო და პოლიტიკური სკოლის" ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლები ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად უკრაინელ ახალგაზრდებს გამოცდილებას გაუზიარებენ.

ვებგვერდის ინფორმაციით, სწავლების პროგრამა საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრის ხატია დეკანოიძის მიერაა შექმნილი. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული იქნებიან იუსტიციის ყოფილი მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, ორგანიზაცია „გრასის" დამფუძნებელი სერგი კაპანაძე, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვახტანგ ლეჟავა.

„მე მჯერა, რომ შესაძლებელია იმ სისტემის შეცვლა, რაც არ მოსწონთ უკრაინელებს. პოტენციალი და რესურსები უკრაინაში უფრო დიდია, ვიდრე საქართველოში. გამოცდილების გაზიარება ევროპული ინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტი გასაღებია", – განაცხადა სკოლის დამფუძნებელმა დეკანოიძემ. (news.ge)

## თებერვალში ამერიკისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრა იგეგმება.



საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბერუჩაშვილმა ჯონ ქერისთან მის პირველ შეხვედრას უმნიშვნელოვანესი უწოდა.

„შეხვედრა იყო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იმ გზავნილებით, რომელიც მივიღეთ. პირველი, ურყევი და სერიოზული მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პრიორიტეტების განხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე, მკაფიო დადასტურება იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ის პრინციპი, რომელსაც ჩვენი თანამშრომლობა ეფუძნება, არის ურყევი. არანაირი ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია და შესაძლოა, მომავალშიც იქნას ხელმოწერილი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან დე ფაქტო ხელისუფლებასთან, არ არის აღიარებული და არც არასდროს იქნება. არის სერიოზული მხარდაჭერა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იქნება ჩვენ გვერდით საერთაშორისო საზოგადოებისა და ინტერესის მობილიზაციასთან დაკავშირებით", – განაცხადა ბერუჩაშვილმა.

მისივე თქმით, ამერიკის მხრიდან ასევე მნიშვნელოვანი გზავნილია ის, რომ ერთად იმუშავებენ, რაც შეიძლება უელსის სამიტის შედეგად მიღებული შესაძლებლობების დროულად ასამოქმედებლად.

„ამაში უკვე კონკრეტულად ჩაერთვება ამერიკის შეერთებული შტატები და თავდაცვის სამინისტროსთან იქნება სერიოზული მუშაობა. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და პრაქტიკულად თებერვალში, თავდაცვის მინისტრების შეხვედრის ფარგლებში, გვექნება სერიოზული პროგრესი", – დასძინა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## „დოლარის კურსის გამყარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი რუსეთისთვის დაწესებული სანქციებია"



ლარის კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებით კომენტარი ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემაც გააკეთა.

კალაძის აზრით, აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებია. კერძოდ, საერთაშორისო სანქციები.

ვიცე-პრემიერმა დასძინა, რომ ნებისმიერი ქვეყნის საბიუჯეტო მოვლენები და ფისკალური პოლიტიკა გლობალურად მიმდინარე პროცესებთან კავშირშია. „ამიტომ რა იქნება მომავალში, მე გამიჭირდება პასუხის გაცემა. ეს დინამიკური პროცესია და ალბათ, უმჯობესი იქნება, კომენტარი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ვთხოვოთ, ისინი უფრო კარგად აგვიხსნიან არსებულ სიტუაციას", – დასძინა კახი კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „არავის აქვს უფლება, უნივერსიტეტის თანხები თვითნებურად გამოიყენოს"



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ანგარიშები ხაზინაში გადადის, მათ კომერციული ბანკებით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ.

ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ონოფრიშვილი ხაზინის წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს.

„უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეხვდებიან ხაზინას, რათა ტექნიკურ დონეზე დაინახონ, რა შესაძლო შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ჩვენც ცალკე შევხვდებით ხაზინის ხელმძღვანელობას. ვფიქრობ, სერიოზული პრობლემები არ უნდა წარმოიქმნას, რადგან არავის აქვს უფლება, უნივერსიტეტის თანხები თვითნებურად ან სხვაგვარად გამოიყენოს. კომიტეტი შეეცდება, დაბალანსებული კანონი მივიღოთ, სადაც ყველა მხარის ინტერესი იქნება გათვალისწინებული", – განაცხადა ონოფრიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## შესთავაზეს თუ არა თინა კანდელაკს განათლების მინისტრის პოსტი საქართველოში



აზერბაიჯანული გამოცემა ჰაქქინ.აზ თინა კანდელაკთან ინტერვიუს აქვეყნებს, რომელშიც სხვა ბევრ საინტერესო საკითხთან ერთად, კანდელაკი პასუხობს ჟურნალისტის კითხვას მის შესაძლო მინისტრობასთან დაკავშირებით.

– აღფრთოვანებული ვარ ძლიერი ქალებით, კლეოპატრადან დაწყებული მარგარეტ ტეტჩერით დამთავრებული. მე თვითონაც საკუთარ თავს ძლიერ ქალად ვზრდი. ბევრ თანამედროვე ქალს არ გამოსდის ბედნიერი ცხოვრება, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით: გათხოვდე ერთხელ და იცხოვრო ქმართან დიდხანს და ბედნიერად, ჭირსა და ლხინში. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ იყვნენ ბედნიერები. მათ უნდა ისწავლონ, იყვნენ ბედნიერები იმ სიტუაციაში, რომელშიც იმყოფებიან. ცხადია, ეს არ არის მარტივი...

ყოველთვის ვიცი, რა უნდა გავაკეთო და არასდროს ვცდები ამასთან დაკავშირებით. როდესაც უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ზოგჯერ ვერ ვხვდებოდი, რა არის საჭირო და მნიშვნელოვანი. ახლა, როდესაც ვიცი, ცხოვრება და მუშაობა გაცილებით უფრო მარტივია...

მე მყავს ოჯახი, ბავშვები, ყოველთვის არსებობს ადგილი, სადაც საღამოს გატარება შემიძლია. და ცოტა შემთხვევა თუ ყოფილა, როდესაც ოჯახის გარეთ გატარებული დრო უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ოჯახის წევრებთან გატარებული დრო...

როდესაც მოსკოვში ჩამოვედი, რა არის დასამალი, რომ ბევრი რამე მაკლდა. ახლა კი საკმაოდ წარმატებული ბიზნესლედი ვარ. ყველაფერს ჩემით მივაღწიე...

მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი სომეხია, ხოლო მამაჩემი – ქართველი, საქართველო ჩემი სამშობლოა და მე ის ძალიან მიყვარს. ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია. რა თქმა უნდა, თუკი ჩემს სამშობლოს დავჭირდები, მე მზად ვარ, მას ჩემი გამოცდილება გავუზიარო...

*ambebi.ge*

## „ჩამოიყვანეთ, რა, კანდელაკი! უკრაინაზე ბოლმაც გაგივლით და არც ჯანყარაშვილის წოწიალი დაგჭირდებათ“ – დავით დარჩიაშვილი



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით დარჩიაშვილი რუსეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტის, თინა კანდელაკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– ჩამოიყვანეთ, რა! უკრაინაზე ბოლმაც გაგივლით და არც ჯანყარაშვილის წოწიალი დაგჭირდებათ საქართველოს შემდგომი შერცხვენისთვის. ყველაფერი აქვე, ჩვენს ეროვნულ „სამზარეულოში“ მოთავსდება, – წერს დარჩიაშვილი.

*ambebi.ge*

## პუტინის მხარდამჭერი განცხადება ლეპსის თბილისური კონცერტის წინ



რუსმა მომღერალმა გრიგორი ლეპსმა თბილისური კონცერტის წინ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მხარდამჭერ წერილს ხელი მოაწერა.

ხელმოწერის დაგვიანებას ლეპსი იმით ხსნის, რომ მისთვის წერილზე ხელმოწერის თხოვნით არავის მიუმართავს და რომ მიემართათ, ხელს აუცილებლად მოაწერდა.

– მე ვარ ჩემი ქვეყნის მოქალაქე, პატივს ვცემ ჩემს პრეზიდენტს და ყველაფერს, რასაც ის აკეთებს. მე მას ვენდობი და დიდ პატივს ვცემ. როგორც ჩანს, რუსეთისთვის კარგი იქნება, თუ ყირიმი მის შემადგენლობაში იქნება. თუ პრეზიდენტმა ასე გადაწყვიტა, ესე იგი ასე უნდა იყოს, – განაცხადა ლეპსმა.

გრიგორი ლეპსს სპორტის სასახლეში 7 დეკემბერს კონცერტი აქვს დაგეგმილი.

*newposts.ge*

## „ტარიელ, ნუ ატრაკებ, გირჩევნია“ – ია ფარულავა



მიუხედავად იმისა, რომ ია ფარულავას ტარიელმა „ფეისბუკზე“ ვინაობა „გაუქმებულით“ ჩაანაცვლა, მაინც სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია. ამჯერად ის ყოფილი პრეზიდენტის „ლავსთორულ“ ისტორიას გამოეხმაურა.

– სამწუხაროდ, საქართველოში ვაჟკაცობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია, თუ რამდენ ქალბატონთან ულალატებს მამაკაცი მეუღლეს, – აცხადებს ტარიელ სუარი და შემდეგ სტატუსს აქვეყნებს.

ტარიელ სუარი: „ქვეყნის მთავარსარდალი ყველა სიკეთესთან ერთად საზოგადოებაში მეუღლისადმი ერთგულებასაც უნდა ასხივებდეს. სახელმწიფოში ცოლ-ქმრის ერთგულება, განსაკუთრებით ქმრის ერთგულება სამაგალითო უნდა იყოს ყველასთვის. საქართველოში კი, სამწუხაროდ, პირიქით არის...

ტარიელ სუარის ამ სტატუსს უამრავი კომენტარი და თემის განხილვა მოჰყვა. შემდეგ კი ტარიელ სუარის განცხადება:

– ჩემთან კი 2 დღეა მიშა პარიკმახერი აღარ ჩანს. დამბლოკა, ალბათ. – რასაც ია ფარულავამ მალევე შემდეგი სიტყვებით უპასუხა:

– ტარიელ, ნუ ატრაკებ, გირჩევნია.

*newposts.ge*

## სოფო გელოვანი იანვარში მეორე შვილის დედა ხდება



მომღერალი სოფო გელოვანი იანვარში მეორე შვილის დედა გახდება. პირველი შვილი დათა 5 წლის არის. გოგო ძალიან უნდოდა, თუმცა მეორეც ბიჭია, ამიტომ სოფო მესამე შვილსაც გააჩენს. მისი გინეკოლოგი ქმარი ცოლის მშობიარობაზე დასწრებას არ აპირებს.

სოფო გელოვანი:

– არც პირველს დასწრებია და ვერც ახლა დაესწრება. არ შეუძლია. ძალიან ნერვიულობს და ვერ დაესწრება. ჩემს 5 წლის დათას დის გაგონება არ უნდოდა. ბიძაშვილები და მამიდაშვილები სულ გოგონები ჰყავს და აპროტესტებდა, ბიჭი მინდაო. მიფრთხილდება, იცის, მძიმე არ შეიძლება ჩემთვის. მამაკაცურ მზრუნველობას იჩენს. დათას უყვარს მოცარტი. მასზე ორსულად რომ ვიყავი, ხშირად ვუსმენდი მოცარტს.

ეს პერიოდი ქალისთვის ბედნიერებაა. დედა რომ ხდები პასუხისმგებლობის გრძნობა გემატება. მეორე შვილის დროს – მით უმეტეს. თან ორი ბიჭის დედა რომ ხარ, ორმაგად მოჭიმული უნდა იყო. ჭეშმარიტი კაცის აღზრდა ადვილი არ არის. მეუღლე უნდა დამეხმაროს. ჩემი მეუღლე ძლიერი ადამიანია და მისი დამსახურებაა ის, რომ მე პრობლემების გადალახვა ადვილად შემიძლია. მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. გამიმართლა, რომ გვერდით ასეთი ადამიანი მყავს. მას ვეყრდნობი და თავს ძლიერად ამიტომ ვგრძნობ.

*primetimenews.ge*

## თათული ედიშერაშვილი: „3-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ერთმანეთს დავშორდით“



თათული ედიშერაშვილი პირველად ალაპარაკდა თვის პირად ცხოვრებაზე. „ეკა ხოფერიას ტოქშოუში“ მსახიობმა ქმართან დაშორებასა და ოჯახურ პრობლემებზე ისაუბრა.

– ეს არის ძალიან დიდი სიყვარულის ისტორია, რომლის გამოც მე ძალიან ბევრი რამ გადამილახავს, ბევრი სირთულე იყო. ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ეტაპი ძალიან ცუდი იყო. გარკვეული პერიოდი ჩვენ ერთად არ ვცხოვრობდით. 3-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ერთმანეთს დავშორდით. ამ დაშორებამ დაახლოებით 1 წელი გასტანა, მერე შევრიგდით და ბედნიერად და კარგად ვართ. გვყავს ორი შვილი. დაშორება ორივეს გაგვიჭირდა, მაგრამ საჭირო იყო, რომ ჩვენ ცალ-ცალკე გვეცხოვრა. კონკრეტული მიზეზი არსებობს, ეს ჩვენი პირადი პრობლემა იყო, თუმცა ცალსახად მინდა ვთქვა, რომ აქ ღალატს, მესამე ადამიანს, გადაბრალებებსა და ასეთ რაღაცებს ადგილი არ ჰქონია. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ გავძელით ერთმანეთის გარეშე. ჩუმად პაემანზე დავდიოდით ხოლმე, ისე, რომ ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ. ქორწილი არ მქონია. რომ გავთხოვდი, დედა ახალი გარდაცვლილი იყო და მერე, როგორც ხდება ხოლმე, გადაიდო და გადაიდო. მე მგონი, ბოიფრენდთან ერთად ვცხოვრობ და ვერ გამირკვევია. ვაპირებ აუცილებლად, რომ მქონდეს ტრადიციული ქორწილი, თავისი თეთრი კაბით, სიგნალებითა და ა.შ.

*primetimenews.ge*

## „დებილმა აღარ გავაგრძელე დიალოგი“ – რა უთხრა მერაბ კოკოჩაშვილმა თინა მახარაძეს



მსახიობი თინა მახარაძე კინოთეატრ „ამირანში“ რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილთან შეხვედრას იხსენებს:

– გუშინ „ამირანში“ კარში ვეჯახები მერაბ კოკოჩაშვილს, რომელიც რაღაც „შესდექის“ მაგვარი ჟესტით მაჩერებს და მეუბნება:

„გოგონა, თქვენ საოცარი გარეგნობა გაქვთ! უუმაღლესი კლასის კინომსახიობის. არ გიფიქრიათ მსახიობობაზე?“

„ოო, დიდად გმადლობთ. მე მსახიობი ვარ“.

გავბრწყინდი, გავბრწყინდი და დებილმა აღარ გავაგრძელე დიალოგი, სწრაფად დავემშვიდობე და გამოვედი.

ვიდექი, ვეწეოდი და ვფიქრობდი: „რააა კარგია, ესე იგი, რომ არ ვყოფილიყავი მსახიობი, მაინც მსახიობს ვემსგავსებოდი. მაგრამ რა კარგია, რომ მსახიობი ვარ. თხემით ტერფამდე“. ჩემი უდიდესი ვნება აგაფარეთ ნიუს ფიდში. გმადლობთ, – წერს „ფეისბუკზე“ მახარაძე.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მწერალი ემილ ...
2. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
3. შილაფლავის სახელები
4. ფეხოსანი, ანუ ... ჯარი
5. მსახიობი ანი ...
6. მუშათა კლასი (რევოლუც.)
7. ტბა კანადაში
8. მსახიობი ... ბესინჯერი
9. ხელით ნაკეთი, ანუ ...
10. ვეტერანი კალათბურთ. ამირან ...
11. „ბითლზი". ... სტარი
12. სურნელოვანი მცენარე
13. ენათმეცნიერი ვახუშტი ...
14. ფრანგული ავტომობილი
15. თამაში ჩოგნითა და ვოლანით
16. პორტუგალიელი ვეტერანი ფეხბურთ.
17. მდინარე საფრანგეთში
18. მწერალი ჟიულ ...
19. ნივი
20. ილია ჭავჭავაძის ლექსი
21. ღომში ჩაზელილი სულგუნი
22. ძვ. ქართული სამედიცინო ენციკლოპ.
23. ორმაგი, ანუ ... ბუხჰალტერია
24. სახელმწიფო ევროპაში
25. იტალიელი კომპოზიტორი
26. სახელმწიფო აზიაში
27. მსახიობი ... მუტი
28. მომღერალი ... ჯაგერი
29. მსახიობი ... მიფუნე
30. სკანდინავიური თქმულება
31. საგალობელი „...-მარია"
32. სიროფში მოხარშული ხილის დესერტი
33. ქალაქი სოჭთან
34. მუსულმანთა წმინდა წიგნი
35. მასწავლებელი, ანუ ...
36. კნუტი (კუთხურად)
37. მთვარის ქანი
38. ჩილეში: სალვადორ ...
39. მოქანდაკე ... ამაშუკელი
40. სარწმუნოება, ანუ ...
41. ესპანეთის კინოაკადემიის პრიზი
42. ღვთის სადიდებელი შეძახილი
43. მოუჭიქავი კერამიკა
44. მხ./ფ. „მატრიცა". ნათელმხილველი
45. მსახიობი ... ჰეპბერნი
46. მომღერალი ... ტიმბერლეიკი
47. „ოტელო". პერსონაჟი
48. ჯიმ კერი ფილმში „ეის ..."
49. კომიკოსი ჰაროლდ ...
50. ... ბერიკაშვილი
51. აქლემების მწკრივი უდაბნოში
52. მწვერვალი კავკასიონზე
53. ალაზნის ზემო დინების ხეობა
54. კილოგრამის მეათასედი
55. შხამიანი მწერი
56. თილისმა
57. ფოტოსურათების გადასაღები ხელსაწყო
58. მსახიობი სილვესტერ ...
59. მალამო
60. მსახიობი უაინონა ...
61. პორტუგალიის დედაქალაქი
62. მხ./ფ. „მიმინო". ვასილ ჩხაიძე
63. სავაჭრო სახლი ძვ. თბილისში
64. ქმრის ძმა
65. ... ის, ვინც ბოლოს ...
66. ყინულის კონუსი სახურავზე
67. მსახიობი გურამ ...
68. გაზაფხულის თვე
69. მწერალი ... დე სენტ-ეგზიუპერი
70. საჭმლის მომნელებ. სისტემა, ანუ ...
71. მწერალი ვასილ ...
72. ესპანელი აზნაური
73. კომში
74. წყლის ძუძუმწოვარი
75. ნოდარ დუმბაძე. „ნუ გეშინია, ...!"
76. შესვენება მუსიკაში
77. ვიაჩესლავ ტიხონოვის კინოროლი
78. ციანმჟავას მარილი
79. სანელებელი. იღებენ ღვინისგან
80. ქვის ქუბო
81. მსახიობი ... კონერი
82. თავის მოსაკვეთი მანქანა
83. ფუტკრის „იარაღი"
84. ანტონ ჩეხოვი. „... ვანია"
85. მტაცებელი კატისებრთა ოჯახიდან
86. ცხენებშებმული ტრანსპორტი
87. ძვ. ბერძენი მეიგავე
88. ტენორი ... ლანცა
89. ნადუღის სანელებელი
90. პატარა არხი
91. ოთხწევრიანი ანსამბლი
92. თანამედ. მიმდინარეობა მხატვრობ.
93. რეჟისორი ... დე ბონტი
94. მაფია: ... ნოსტრა
95. ქვეყნის მთავარი ქალაქი
96. პოეტური ფორმით გადმოცემული თქმულება
97. ზაზა კორინთელი, ანუ ...
98. მხ./ფ. „ოპერაცია წმინდა ..."
99. მხ./ფ. „... ოკეანის საიდუმლოება"
100. „არგოს" ეკიპაჟის წევრი (ბერძნ.მით.)
101. რაიმე რწმენით უკიდურესი გატაცება
102. საზოგადოების ნაღები ფენა
103. დოკუმენტის ასლი (მოძვ.)
104. მხ./ფ. „დიკ ..."
105. კუტიურიე ... ასათიანი
106. ჭადრაკში: სიცილიური ...
107. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
108. სახელმწიფო ევროპაში
109. მოჭადრაკე ... კუშნირი
110. მსახიობი ... დიზელი
111. ზღვის ცხოველი წვეტიანი ცხვირით
112. მაიმუნის სახეობა
113. „კუკარაჩა". ინგა ...
114. მსახიობი ... იოვოვიჩი
115. მხედართმთავარი (ძვ.)
116. ჰიგიენური საშუალება
117. შებოლილი ხორცი
118. ყაიმი
119. ენათმეცნიერი
120. მსახიობი ... ამირანაშვილი
121. აზროვნების ორგანო
122. გამოქვაბულის ძირიდან ვერტიკალურად ამოზრდილი კირიანი შვერილი
123. საკონდიტრო სანელებელი
124. ოპერა „... გიუნტი"
125. ეკლიანი ყვავილი
126. საფარიკაო იარაღი
127. ძაღლის ნაშიერი
128. ხის წვერი
129. მექსიკური არაყი
130. ელასტიური ქსოვილი
131. ამერიკელის მეტსახელი
132. პოეტი ... მიცკევიჩი
133. მხატვარი ავთო ...
134. ლითონი
135. ჭანჭიკზე მოსაჭერი
136. მსახიობი ჰოლი ...
137. გადამყიდველი (ძვ.)
138. ბატკნების მოგების პერიოდი
139. უნგრელი კომპოზიტ. ფერენც ...
140. განგსტერი ... კაპონე
141. აბრეშუმის მტკიცე და პრიალა ქსოვილი
142. ბრინჯის კერძი
143. მომღერალი ... ვაიკულე
144. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
145. მისი დედაქალაქია თეირანი
146. ... ჰო, ... არა
147. 1000კგ
148. ანტილოპას სახეობა
149. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
150. ბერძნ. მითოლოგ. პერსონაჟი ქალი



პასუხები: 1. ზოლა; 2. ნევა; 3. ძირა; 4. ქვეითი; 5. გიუნტერი; 6. პროლეტარიატი; 7. ონტარიო; 8. კიმ; 9. კუსტარული; 10. სხიერელი; 11. რინგო; 12. ლავანდა; 13. კოტეტიშვილი; 14. „რენო"; 15. ბადმინტონი; 16. ეუსებიო; 17. ლო; 18. ვერნი; 19. სიო; 20. „ელეგია"; 21. ელარჯი; 22. კარაბადინი; 23. იტალიური; 24. დანია; 25. როსინი; 26. იორდანია; 27. ორნელა; 28. მიკ; 29. ტოსირო; 30. საგა; 31. ავე; 32. კომპოტი; 33. ადლერი; 34. ყურანი; 35. პედაგოგი; 36. ცინდალი; 37. რეგოლიტი; 38. ალიენდე; 39. ელგუჯა; 40. რჯული; 41. „გოია"; 42. ალილუია; 43. ბისკვიტი; 44. პითია; 45. ოდრი; 46. ჯასტინ; 47. იაგო; 48. ვენტურა; 49. ლოიდი; 50. გივი; 51. ქარავანი; 52. იალბუზი; 53. პანკისი; 54. გრამი; 55. კრაზანა; 56. ავგაროზი; 57. აპარატი; 58. სტალონე; 59. სალბუნი; 60. რაიდერი; 61. ლისაბონი; 62. არისტოფანი; 63. ქარვასლა; 64. მაზლი; 65. იცინის; 66. ლოლუა; 67. საღარაძე; 68. მარტი; 69. ანტუან; 70. ტრაქტი; 71. ბარნოვი; 72. იდალგო; 73. ბია; 74. სელაპი; 75. დედა; 76. პაუზა; 77. შტირლიცი; 78. ციანიდი; 79. ძმარი; 80. სარკოფაგი; 81. შონ; 82. გილიოტინა; 83. ნესტარი; 84. ძია; 85. იაგუარი; 86. ეტლი; 87. ეზოპე; 88. მარიო; 89. პიტნა; 90. რუ; 91. კვარტეტი; 92. ავანგარდიზმი; 93. იან; 94. კოზა; 95. დედაქალაქი; 96. ბალადა; 97. ზუმბა; 98. იანუარიუსი; 99. ორი; 100. არგონავტი; 101. ფანატიზმი; 102. ელიტა; 103. კოპიო; 104. ტრეისი; 105. მაკა; 106. დაცვა; 107. ეპილოგი; 108. გერმანია; 109. ალა; 110. ვინ; 111. ნარვალი; 112. პავიანი; 113. ლალიაშვილი; 114. მილა; 115. სპასალარი; 116. საპონი; 117. ლორი; 118. ფრე; 119. ლინგვისტი; 120. ამირან; 121. ტვინი; 122. სტალაგმიტი; 123. ვანილი; 124. პერ; 125. ვარდი; 126. რაპირა; 127. ლეკვი; 128. კენწერო; 129. ტეკილა; 130. ლიკრა; 131. იანკი; 132. ადამ; 133. ვარაზი; 134. რკინა; 135. ქანჩი; 136. ბერი; 137. ჩარჩი; 138. დოლი; 139. ლისტი; 140. ალ; 141. ფარჩა; 142. ფლავი; 143. ლაიმა; 144. აგრა; 145. ირანი; 146. ან; 147. ტონა; 148. გნუ; 149. რაფა; 150. იო. იკითხება: სიღნაღი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მარინა ვლადი ფილმში
2. ჩახერგილი ქუჩა რევოლუც. დროს
3. ჩილეში: ავგუსტო ...
4. ფინელი კომპოზიტორი იან ...
5. ტაძარი, ყოფილი ციხე თბილისში
6. მღვდლის სამოსის დეტალი
7. ღვინის არომატის ერთობლიობა
8. ავადმყოფობა, ანუ ...
9. კორეის სახალხო დემოკრატ. რესპუბლიკის მეთაური კიმ ჩენ ...
10. საწერი მასალა ძველ ეგვიპტეში
11. ლომების ოჯახი
12. ფილოსოფოსი კასრში
13. სამოქალაქო ომის დროს უკრაინელი ანარ-ქისტი ნესტორ ...
14. მხატვარი ოგიუსტ ...
15. უნივერსიტეტი ... მატერი
16. კტისტოფერ რივის გმირი
17. ნავთობმზიდავი გემი
18. მიწის ფართობის ერთეული
19. მსახიობი ჯან-კარლო ...
20. ბოსტნეული
21. ხორვატიის დედაქალაქი
22. მწერალი ... ბრაუნი
23. მსახიობი კერკ ...
24. მსახიობი ... ნიკულინი
25. გემი ორი კორპუსით
26. „მთვარის მოტაცება“ თარაშ ...
27. მარილებიანი წყალი
28. მსახ. ჟან-კლოდ ... დამი
29. ტბა დუშეთის რაიონში
30. მდინარე გერმანიაში
31. მსახიობი ... უიზერსპუნი
32. რუსული ფულის ერთეული
33. ბრტყელი თევზი
34. ძვ. თბილისური მიმართვა
35. თავისუფალი ფორმის ნაწარმ.
36. წყალწაღებული ... ეჭიდება ბოდაო
37. საქონლის გულღვიძლი
38. ქინქლა
39. გეომეტრიული ფიგურა
40. ანსამბლი „მზიური“ თამრიკო ...
41. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა
42. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
43. აჭარის დედაქალაქი
44. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
45. მსახიობი ფილიპ ...
46. ჩანჩქერი აშშ-ში
47. მღრღნელი ბეღელში
48. ყურძენი იზაბელა, იგივე ...
49. მტაცებელი ფრინველი
50. პატარა სასაცილო ამბავი
51. მიმიკის უქონლობა
52. სოფელი თელავის რაიონში
53. მსახიობი ... არამოვი
54. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
55. მსახიობი ... ფაროუ
56. მსახიობი ... ბლუმი
57. ძველი სქელტანიანი წიგნი
58. ჩანთოსანი დათვი
59. სიგარეტის ერთი მოწევა
60. მწვანილი
61. ინგლისური ლუდი
62. „ნატვრის ხე“ ჭიაურელი
63. ნიავი
64. დიზაინერები ... და გაბანა
65. რიჩარდ გირი მიუზიკლში
66. საქონლის გასარეკი ჯოხი
67. რეჟისორი ფრანკო ...
68. მხ/ფ „... სრული სვლით“
69. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
70. ნაწარმოების მწვავე შეფასება
71. მსახიობი ... ვერტინსკაია
72. ალპური ყვავილი
73. ზღვა შუა აზიაში
74. იტალიელი ფაშისტების ბელადი
75. სტენლი კუბრიკის ფილმი „ფართოდ დახუჭული ...“
76. აკვიატება: ...-ფიქსი
77. ღვიძლის ძხვი
78. მზის სისტემის სხეული ზოგადად
79. ქალაქი ყირიმზე
80. ჩინეთის დიდი ...
81. ამჟამად, ამ დროს
82. საზეიმო მუსიკა
83. მომღერალი ... კაასი
84. იგავი
85. სიტყვის გამყოფი ხაზი
86. მუცლის ღრუდან გამოსული ნაწლავი
87. დიდი ხნით უწვიმო ამინდი
88. მღრღნელი მატლი
89. თამაში: ...-თაგვობანა
90. საოკეანო სამგზავრო გემი
91. რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართული სუფრა
92. ტროპიკული ბუზი
93. აზრა
94. განგსტერი ... კაპონე
95. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
96. აცტეკების ბელადი
97. ზრდადაუსრულებელი ქათამი
98. უდაბნო მონღოლეთში
99. ამერიკული ავტომობილი
100. კაბაზე შემოვლებული კანტი
101. ელ. ტექნიკის იაპონური ფირმა
102. ავტომრბოლელი ... ლაუდა
103. შვეიცარიის დედაქალაქი
104. სასუნთქი გზების დაავადება
105. დახვეული ნამცხვარი
106. გიგანტური ზომის ადამიანი
107. სასვენი ნიშანი
108. ბოსტნეული
109. ყაიმი
110. ტალახი
111. ნიშნავს თვალით ხილულს
112. ტურგენევის მოთხრობა
113. მსახიობი ... რიშარი
114. ხილის ნაჭუჭიანი გული
115. რეჟისორი ... კუროსავა
116. კოშკი პარიზში
117. შექსპირი. „... არაფრის გამო“
118. სამხედრო ფორმის შარვალი
119. ორგანო მუცლის ღრუში
120. იაპონური თეატრი
121. მიწის გამხმარი კოშტი
122. მსახიობი აიშვარია ...
123. მომღერალი ... ბრეგვაძე
124. მზის ამოსვლა
125. სოფელი გორის რაიონში
126. თივის „მთა“
127. ჭურჭი
128. იაპონური არაყი
129. რეჟისორი ... ტარკოვსკი
130. შავი ფისი
131. მშობიარობის დამხმარე
132. მხატვარი კლოდ ...
133. ნარკოტიკული ბალახი
134. კათოლიკე მღვდელი
135. დათვის სადგომი
136. კონსერვის ქილის დასახური
137. მომღერალი ... სებისკვერაძე
138. მტაცებელი ფრინველი
139. მხატვარი ალბრეხტ ...
140. მომღერალი ... რიდი
141. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილ.
142. სპორტის სახეობა
143. მსახიობი ბრიუს ...
144. ინდური ფულის ერთეული
145. ფარდაგი
146. მხ/ფ „ნეილონის ნაძვის ...“
147. სოფელი დაღესტანში (ზოგადად)
148. წყლის მომჭერი
149. დაესმის არსებით სახელს
150. აივენჰოს სატრფო
151. წერილობითი თხოვნა (ძვ.)
152. ... კუზანოვი
153. ზარის ძელაკი
154. მსახიობი ... ჟაკობი




პასუხები: 1. „ჯადოქარი“; 2. ბარიკადა; 3. პინოჩეტი; 4. სიბელიუსი; 5. მეტეხი; 6. ოლარი; 7. ბუკეტი; 8. სენი; 9. ირი; 10. პაპირუსი; 11. პრაიდი; 12. დიოგენე; 13. მახნო; 14. რენუარი; 15. ალმა; 16. სუპერმენი; 17. ტანკერი; 18. არი; 19. ჯანინი; 20. პომიდორი; 21. ზაგრები; 22. დენ; 23. დუგლასი; 24. იური; 25. კატამარანი; 26. ემხვარი; 27. ხისტი; 28. ვან; 29. ბაზალეთი; 30. რაინი; 31. რიზ; 32. რუბლი; 33. კამბალა; 34. ტო; 35. ესე; 36. ხავსი; 37. ჯიგარი; 38. მუმლი; 39. რომბი; 40. ჭოხონელიძე; 41. ზურმუხტი; 42. პან; 43. ბათუმი; 44. ამერიგო; 45. ნუარე; 46. ნიაგარა; 47. თაგვი; 48. ადესა; 49. მიმინო; 50. ანეკდოტი; 51. ამიმია; 52. ნაფარეული; 53. ვლად; 54. მარიონეტი; 55. მია; 56. ორლანდო; 57. ფოლიანტი; 58. კოალა; 59. ნაფაზი; 60. ოხრახუში; 61. ელი; 62. ფუფალა; 63. სიო; 64. დოლჩე; 65. „ჩიკაგო“; 66. სახრე; 67. ძეფირელი; 68. ორერა; 69. სადაფი; 70. კრიტიკა; 71. ანასტასია; 72. ედელვაისი; 73. არალი; 74. მუსოლინი; 75. თვალები; 76. იდეა; 77. ლივერი; 78. პლანეტა; 79. იალტა; 80. კედელი; 81. ახლა; 82. ტუში; 83. პატრიცია; 84. არაკი; 85. დეფისი; 86. თიაქარი; 87. გვალვა; 88. მლილი; 89. კატა; 90. ლაინერი; 91. მაღარიჩი; 92. ცეცე; 93. ფირნიში; 94. ალ; 95. სამოა; 96. მონტესუმა; 97. ვარია; 98. გობი; 99. „ბიუიკი“; 100. არშია; 101. „პანასონიკი“; 102. ნიკი; 103. ბერნი; 104. ასთმა; 105. რულეტი; 106. გოლიათი; 107. ტირე; 108. კარტოფილი; 109. ფრე; 110. ლაფი; 111. მაკრო; 112. „მუმუ“; 113. პიერ; 114. კურკა; 115. აკირა; 116. ეიფელი; 117. აურზაური; 118. გალიფე; 119. ელენთა; 120. კაბუკი; 121. კოლბოხი; 122. რაი; 123. ნანი; 124. აისი; 125. იკორთა; 126. ზვინი; 127. ყუმბარა; 128. საკე; 129. ანდრეი; 130. კუპრი; 131. მეანი; 132. მონე; 133. კანაფი; 134. აბატი; 135. ბუნაგი; 136. ხუფი; 137. ნეკა; 138. ოლოლი; 139. დიურერი; 140. დინ; 141. ნარგილე; 142. კრივი; 143. ლი; 144. რუპია; 145. ნოხი; 146. ხე; 147. აული; 148. ონკანი; 149. ვინ; 150. როენა; 151. არზა; 152. ივა; 153. ენა; 154. ირენ. იკითხება: 1. ბანანი. 2. ანანასი. 3. ყურძენი. 4. ფორთოხალი. 5. ვაშლი. 6. მსხალი.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ზღაპარი „... ქოშები"
2. ვენესუელას დედაქალაქი
3. „დეკამერონის" ავტორი
4. სოფელი თელავის რაიონში
5. მულტფილმი „წუნა და ..."
6. უქუსლო ფეხსაცმელი
7. მწვადი ამერიკულად
8. ფასიანი ქაღალდი
9. სენეგალის დედაქალაქი
10. ეთერზეთოვანი მცენარე
11. ქალაქი საფრანგეთში
12. სოფელი გორის რაიონში
13. ცხენის კუდის ბალანი
14. რეჟისორი ... ლოლობრიძე
15. მსახიობი ერიკ ...
16. საღეჭი რეზინი ზოგადად
17. გულის მთავარი სისხლძარღვი
18. ცისარტყელას ფერი
19. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
20. მომღერალი ლედი ...
21. ქიმიური ელემენტი
22. ჩეხური რამკა და ნიაგი ...
23. თვითმფრინავის ფანჯარა
24. მხატვარი სალვადორ ...
25. მისი დედაქალაქია ჰანოი
26. მტაცებელი ფრინველი
27. რასელ კროუ ფილმში
28. კბილის დამცავი ფენა
29. მანათობელი მწერი
30. რეჟისორი ალფონსო ...
31. კოფეინიანი სასმელი
32. დანიის დედაქალაქი
33. „მუმუ" ავტორი
34. ფრთოსანი ცხენი
35. ქალაქი სომხეთში
36. ნაბოკოვის რომანი
37. ცვარი
38. მომღერალი მუსლიმ ...
39. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
40. ფილმის ხელახლა გადაღება
41. მხ/ფ „... კანონია"
42. მდინარე სამხ. ამერიკაში
43. არანამდვილი, მაგალითად მონეტა
44. მსახიობი ... კლოუზი
45. ქალაქი შორეულ აღმოსავლეთში
46. დედამიწის გუმბათი
47. დადუღებული ყურძნის წვენი
48. „ეზოში ... ძაღლია"
49. უსაფუვროდ გამომცხვარი პური
50. გეიშა მონაფე
51. „... ვხედავ მზეს"
52. კუტიურიე ჯანი ...
53. ვაჟა-ფშაველას პოემა
54. მსახ. აიშვარია ...
55. არქიტექტურული სტილი
56. პერსონა ...-გრეტა
57. პოეტი ... ახმადულინა
58. მსახიობი ანდრეი ...
59. მოდელი ... კროუფორდი
60. ძალა, ღონე
61. სარძევე ჯირკვლებ. ანთება
62. მსახიობი ... დიუპუი
63. ბიბილოზე მოსაჭერი საყურე
64. მცენარე. ხდიან ტეკილას
65. „ჰამლეტი" პერსონაჟი
66. აცტეკების დედაქალაქი
67. მსახიობი ... რობერტსი
68. იაპონური თეატრი
69. კომპოზიტორი ნინო ...
70. გასაშლელი ოთახი
71. პურის დასაბრაწი ხელსაწყო
72. სასულე ინსტრუმენტი
73. „... დე ბერჟერაკი"
74. უნაპირო ზღვა ატლანტის ოკეანეში
75. ლენონის ქვრივი
76. ჭურვი სქელი ბეწვინით
77. საფარიკაო იარაღი
78. მწერალი ალექსანდრე ...
79. იტალიური მაკარონი
80. ხორბლის შეჭამანდი
81. ხის ჯიში
82. მწერალი ... პიუზო
83. „ნატვრის ხე" ჭიაურელი
84. ჯადოქრობა
85. ჰომეროსის პოემა
86. ქიმიური ელემენტი
87. ხის ჯიში
88. კავალერთან მოცეკვავე ქალი
89. მსახიობი ... ფაინსი
90. ყელის ტკივილი
91. შემოდგომის თვე
92. გოგი ქავთარაძე ფილმში
93. ჩოგბურთელი იანიკ ...
94. მეფე ძველ ეგვიპტეში
95. მსახიობი ... დეპი
96. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
97. მსახიობი ... ვენტურა
98. მხ/ფ „... ტბა"
99. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
100. მისი დედაქალაქია რომი
101. ინის საპირისპირო
102. რუმინული ფულის ერთეული
103. ფაიფურის თეთრი თიხა
104. კარლო გოცი. „პრინცესა ..."
105. ბეთჰოვენის ოპერა
106. „მე, ბებია, ილიკო და ..."
107. ... ჰო, ... არა
108. მომღერალი ... მინოუგი
109. შტატი აშშ-ში
110. ოთხკაციანი ანსამბლი
111. დრამატურგი ჰენრიკ ...
112. ფანჯიკიძე „მეშვიდე ..."
113. კვირტებიანი ტოტი
114. ფილიპინების დედაქალაქი
115. ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა
116. მხ/ფ „თმახუჭუჭა ..."
117. სასამართლოში: ... მსაჯული
118. ველოდრომი
119. მსახიობი რებეკა დე ...
120. დაბა ადიგენის რაიონში
121. მხატვარი ... შაგალი
122. თევზის ძვალი
123. მხატვარი ... ოქროპირიძე
124. ხმადაბალი ჟღერადობა
125. ველები სამხ. ამერიკაში
126. შოკოლადის ხის ნაყოფი
127. „კუკარაჩა" ... ლალიაშვილი
128. ... ბაბაჯანიანი
129. „ბიძია თომას ..."
130. რომის პაპის გვირგვინი
131. მუსიკოსი ... გილელსი
132. თოვლის კრისტალი
133. ჰიტი: „... და მარო"
134. „... გრძელი წინდა"
135. ბელორუსიის დედაქალაქი
136. ჰიპოკრატეს ...
137. ყვავილი
138. მოხსენების ფორმა
139. მოჭადრაკე ბორის ...
140. პირის ღრუს თაღი
141. რას უჩნდება კარიესი
142. ღამის ფრინველი
143. მსახ. ... ქავჟარაძე
144. მოგებული პარტია ნარდში
145. ახალი ... კარგად გვის

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## შოპინგი თუ სექსი — რომელს ირჩევენ ქალები?



არც თავის ტკივილი აწუხებთ, არც ბუზღუნებენ და არც წარბშეკრულები არიან ქალები, როცა ჯიბეში ან ბარათზე საკმარისი თანხა აქვთ და მაღაზიებში დადიან.

კარგია, შენი კვნესამე, როცა ახალ-ახალ რაღაცებს ყიდულობ, მაგრამ მამაკაცს რომ პირიქით — შოპინგს სექსი ურჩევნია, რა ქნას?!



სპეციალისტებს თუ დავეკითხებით, რჩევა დაახლოებით ასეთია: მამაკაცს თავის ტკივილის საწინააღმდეგო აბი ყოველთვის უნდა ჰქონდეს ჯიბეში პრეზერვატივისა და ფულის გვერდით...

ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოკითხვა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ქალების 40 პროცენტისთვის ბევრად სასიამოვნოა მაღაზიაში სიარული, ვიდრე ვნებიანი ღამე.

ამასთანავე, გათხოვილი ქალების 50 პროცენტი, რომლებიც ქორწინებაში დაახლოებით 20 წელი არიან, ამბობს, რომ საერთოდაც, სექსის გარეშე უკეთ გრძნობენ თავს (ჰო, თუ 40 წლისები გათხოვდნენ, კი ბატონო).

შეგვიძლია იმის თქმაც, რომ მშვენიერი სქესის 72 პროცენტს ქმრები სექსუალურად მიმზიდველებად მიაჩნია.

საბოლოო ჯამში, ყველანაირი შედეგის გაანალიზების შემდეგ, კვლევის ავტორები განმარტავენ, რომ ქალების უმეტესობისთვის სექსი მეორე და მესამე კი არა, მეათე და მეთერთმეტეხარისხოვანია.

და ყველაზე საინტერესო ფაქტი — სექსუალური ცხოვრების არქონის მიუხედავად, გამოკითხულთა 94 პროცენტი თავის ქორწინებას ბედნიერს უწოდებს.

***alloffnews.ru***

## ჩინელებმა ქამელეონის ეფექტის მქონე ვარდები გამოიყვანეს



ფიროსმანის დროს რომ ყოფილიყო ასეთი ვარდები, ალბათ, თითოეულ ადამიანზე გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ შემდეგ ცნობილ სიმღერაში როგორ გაირითმებოდა, ეს უკვე რთული სათქმელია...

მართლაც ძალიან უჩვეულო ვარდები წარადგინეს პეკინში გამართულ ყვავილების გამოფენაზე. იმის ზუსტად თქმა, რა ფერისაა ჩინელების გამოყვანილი ვარდი, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან ის ფერს მუდმივად იცვლის.

როგორც ამბობენ, საკმარისია ყვავილს ადამიანი შეეხოს ან მსუბუქად შეუბეროს, მაშინვე სულ სხვანაირი შეფერილობის ხდება.

სიახლის ავტორები განმარტავენ, რომ ყვავილის ფერის ცვალებადობაზე ტემპერატურა მოქმედებს.

გარდა ამისა, ასევე არსებობს ისეთი ვარდიც, რომლის დანახვა სიბნელეშიც კი შეიძლება. კერძოდ, დღის მანძილზე ყვავილი მზის სხივებს იწოვს, ღამით კი ნათებას იწყებს.

***katrysya.ru***

## სტატუსების დამახსოვრება სოციალურ ქსელებში ბევრად ადვილია, ვიდრე ფოტოების



ზოგი დაწერს ხოლმე სოციალურ ქსელში სტატუსად: „ეეჰ“, ზოგი „უუხ“, ვიღაცის ფანტაზია კიდევ უფრო შორს მიდის და გამოაქვეყნებს: „მაგის დედის...“, „დედა არღნიანები!!!“... ჰოდა, ატყდება მერე ერთი ვაი უშველებელი, „რა გჭირს, გოგო“, „უი, ხომ მშვიდობაა?“...

როგორც მეცნიერები ამბობენ, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსი ადამიანზე იმაზე მეტად დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ახალი კვლევების შედეგების თანახმად, მოკლე პოსტების გახსენება ბევრად იოლია, ვიდრე ფოტოსი ან წიგნიდან ამოკითხული ტექსტის. თურმე, ასე იმიტომ ხდება, რომ სტატუსები უფრო ახლოსაა ჩვეულებრივ საუბართან, ვიდრე რედაქტირებული და მხატვრულად გამართული ტექსტები. იმავე მიზეზით უადვილდება ადამიანს გაიხსენოს რომელიმე სტატიასთან დაკავშირებული კომენტარები, ვიდრე მისი შინაარსი ან სათაური.

კვლევის ავტორები ამბობენ იმასაც, რომ განსაკუთრებით რთულია აგრესიული ან შეურაცხმყოფელი შინაარსის მქონე სტატუსების დავიწყება. არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარ მოკლე ფრაზებს უძლიერესი ემოციური ფონი გასდევს, რის გამოც ადამიანის გონება განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, თავისდაუნებურად იხსენებს.

და კიდევ ერთი, იგივე კვლევა ამტკიცებს, რომ ადამიანები, რომლებიც ხშირად აახლებენ სტატუსებს სოციალურ ქსელებში, თავს ნაკლებად მარტოსულად გრძნობენ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მათ კომენტარს არავინ გამოეხმაურება.

***subscribe.ru***

## შექმნილია ავტომობილის დაცვის სისტემა, რომელიც... დუნდულების ანაბეჭდზე რეაგირებს



ჰაი მე, ვაი მე და ვუი იმათ, ვინც ეს გიჟობა, უცნაურობა და გადარეულობა გამოიგონა! პრინციპში, სასიამოვნოს რომ სასარგებლო მივუმატოთ, გადასარევი შედეგის მიღება შეიძლება, თუმცა ყველას დუნდულებს ესთეტიკური სიამოვნების მონიჭება როდი შეუძლია?..

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, შექმნილია ქურდებისგან ავტომობილის დაცვის ახალი სისტემა 98-პროცენტიანი სიზუსტით, რომელიც ტრანსპორტის მფლობელის დუნდულებს ცნობს.

ახალი ტექნოლოგიის ავტორები იაპონელი ინჟინრები არიან, რომლებმაც ბევრი ადამიანი ერთდროულად გააკვირვეს კიდეც და ბევრიც აცინეს. წამყვანი სამრეწველო ტექნოლოგიების ინსტიტუტის სპეციალისტებმა მძღოლის სავარძელი 360 სენსორით აღჭურვეს, რომელთა მისიაა, შეფასდეს სავარძელზე ზეწოლის დონე შკალის მიხედვით 0-დან 256-მდე. ამის შემდეგ ხდება საჯდომის სამგანზომილებიანი გამოსახულების მიღება, რომლის მიხედვითაც, ავტომობილის ელექტროტექნიკა პატრონს ცნობს.

როგორც სიახლის ავტორები ამბობენ, ექსპერიმენტების ფარგლებში სისტემის ცდომილება მხოლოდ 2 პროცენტი იყო.

შეიძლება თუ არა სისტემამ ადამიანის დუნდულების ანაბეჭდის რამდენიმე ვარიანტი დაიმახსოვროს, ან რა მოხდება, თუკი მანქანის პატრონი გასუქდება, ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს.

ისე, მგონი, კარგია, რომ იაპონელების ეს უცნაური გამოგონება მანქანაში ადამიანის შიშველი უკანალით ჩაჯდომას არ ითხოვს...

***webdiscover.ru***

## ყველაზე მეტი პრობლემა სექსში ბიზნესმენებს აქვთო



იმედია, ბიზნესმენების რისხვას არ დავიმსახურებთ, მაგრამ, თუ მაინც ასე მოხდა, მივცემთ ამ დასკვნის ავტორთა მისამართს და საქმეების გასარჩევად მანჩესტერში მიბრძანდნენ. კვლევა ნისლიან ალბიონზე იმ მიზნით ჩატარდა, რომ დადგენილიყო, რომელი პროფესია მოქმედებს ყველაზე მეტად სექსუალურ ურთიერთობებზე.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი პრობლემა საწოლში ბიზნესმენებს ექმნებათ.

საქმე ის ყოფილა, რომ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ისინი მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში არიან, საშინლად იღლებიან და ვერც სწორი კვებით დაიკვეხნიან.

— ბიზნესმენები იმდენად არიან ჩართულები საქმეებში, რომ პირადი ცხოვრებისთვის აღარც დრო რჩებათ და რაც ყველაზე ცუდია — აღარც სურვილი, — განმარტავენ კვლევის ავტორები.

მეორე ადგილი ამ არცთუ სასიამოვნო კვლევის შედეგად წილად ხვდათ სამართალდამცავი ორგანოებისა და დაცვის სამსახურების თანამშრომლებს, ასევე, სამხედროებს.

მესამე პოზიცია „კრეატივშიკებს“ შეხვდათ. როგორც აღმოჩნდა, ისინიც იმდენად არიან საქმეში თავით გადაშვებულები, რა სექსი, რის პირადი ცხოვრება... გარდა ამისა, მხატვრები და მუსიკოსები არცთუ ხშირად ეტანებიან ნარკოტიკებს და ალკოჰოლს, რაც, რასაკვირველია, პოტენციაზე დადებით გავლენას ვერ მოახდენს.

მამაკაცები, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ, მხოლოდ მეოთხე ადგილზე არიან, ხოლო ტოპ-ხუთეულს სპორტსმენები ხურავენ.

***mainfun.ru***

## თვითკონტროლი ადამიანს ჭკუას ჰმატებს



— ადამიანების თავის ტვინი, რომლებსაც თვითთფლობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ, გაცილებით ეფექტურად მუშაობს, — ასეთი დასკვნა გამოიტანეს ტორონტოს როტმანის უნივერსიტეტის ექსპერტებმა.

კვლევის ავტორებმა ცნობილი „ზეფირის ტესტის“ შედეგები გააანალიზეს, რომელიც დაახლოებით 40 წლის წინათ ჩატარდა. მაშინ 4 წლის ბავშვები არჩევანის წინაშე დააყენეს: მიეღოთ 1 ცალი ზეფირი ახლავე, თუ მოეცადათ 15 წუთი და მიეღოთ უკვე 2 ზეფირი. პატარა ბავშვისთვის ეს საკმაოდ რთული დავალებაა, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ადრეულ ასაკშივე გამოიჩინა გონიერება და ლოდინის ხარჯზე 2 ზეფირის მიღება ამჯობინა, ზრდასრულ ასაკში გაცილებით დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერული თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში როგორც წესი, სწორედ ისინი ამბობდნენ უარს ალკოჰოლზე, სიგარეტზე, ნარკოტიკებსა და სხვა მავნე ჩვევებთან დამეგობრებაზე.

ცნობილია ისიც, რომ კანადელმა მეცნიერებმა 40 წლის შემდეგ ექსპერიმენტში კვლავ ძველი მოხალისეები მიიწვიეს და მათი თავის ტვინი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით შეისწავლეს. შედეგი აქაც თავშეკავებულთა სასარგებლო აღმოჩნდა — მათი გონებრივი შესაძლებლობები ბევრად შორს იყო წასული.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



პატარა კოტე არასოდეს ყვიროდა სათამაშოების მაღაზიაში: „მიყიდე-მიყიდე-მიყიდე!!!“

ის საუბარს ყოველთვის ძალიან შორიდან იწყებდა. მაგალითად:

— მამიკო, შენი ბავშვობაც უსაზღვროდ მძიმე და ულიმღამო იყო?..

*****

სერიოზული მოტეხილობების მქონე მამაკაცს საავადმყოფოს მიმღებში ეკითხებიან:

— ცოლიანი ხართ?

— არა, მანქანა დამეჯახა!

*****

— რომელი ლუდია ყველაზე საუკეთესო?

— ის, რომელსაც დილით მაცივარში შემთხვევით აღმოაჩენ!

*****

— რაც უფრო მეტი გძინავს, უფრო მეტად გეძინება... რაც უფრო მეტს ჭამს, მადაც სულ უფრო მძაფრდება... ეს ოხერი, მხოლოდ მუშაობასთან ვერ არის რაღაც კარგად...

*****

ბუნებაში არსებობს სამი არსება, რომელიც მინუს 25 გრადუსზე არასოდეს იყინება:

— პინგვინები;

— თეთრი დათვები;

— გოგონები მინი კაბებში...

*****

გიდი:

— ახლა კი, თუ ჩვენი საყვარელი და მშვენიერი ქალბატონები ცოტა ხნით გაჩუმდებიან, ყველა გავიგებთ ნიაგარას ჩანჩქერის საშინელ ხმაურს...

*****



ახალგაზრდა მამაკაცი გოგონას მიმართავს:

— ჩემთან 100 დოლარად დაწვები?

— არავითარ შემთხვევაში!

— გემუდარები, შედი ჩემს მდგომარეობაში, ეს თანხა ძალიან მჭირდება!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის

**ომარ (დათო) აქვსენტის ძე ბედიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო*

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## იოგა ადამიანს ინსულტთან აახლოებს?



არავისთვისაა საიდუმლო, რამდენად პოპულარულია იოგა მთელ მსოფლიოში და ვფიქრობთ, არც საქართველოა გამონაკლისი.

გარდა ამისა, როგორც წესი, იოგაზე მხოლოდ დადებითს ამბობენ ხოლმე და უარყოფით შედეგებზე, ფაქტობრივად, არავინ საუბრობს.

ჰოდა, როგორც გაირკვა, სავსებით შესაძლებელია, იოგა ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ინსტრუქტორი გამოუცდელია.

ბრიტანელი მკვლევარი უილიამ ბროადი წიგნში: „იოგას ხელოვნება: რისკები და პლუსები“, ამტკიცებს, რომ შესაძლოა, იოგათი დაკავება დამწყებთათვის ინსულტით დასრულდეს. კერძოდ, ასეთ რისკს წარმოშობს რთული სავარჯიშოები და პოზები.

ბროადი აკონკრეტებს, რომ სხვადასხვა პოზამ შესაძლოა, ხერხემლის გარსის არტერიების დაწყვეტა და თრომბების წარმოშობა გამოიწვიოს.

მისივე თქმით, პირველ რიგში, საფრთხეს ის სავარჯიშოები ქმნის, რომლებშიც კისერია ჩართული.

– ბევრი ინსტრუქტორი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იოგას ვარჯიშების შესრულება, რაც რეალობასთან კავშირში სულაც არ არის და შესაძლოა, ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდეს, – ამტკიცებს ბრიტანელი სპეციალისტი.

***meddaily.ru***

## ადამიანს გაუგებს, მოუსმენს, თანაუგრძნობს... კომპიუტერი




„ხვალინდელი დღის“ კომპიუტერი მუდმივად გაზრდის ინფორმაციის აღქმის ხარისხს, რაც მას საშუალებას მისცემს, თავადვე შექმნას გაცილებით საჭირო მონაცემები და თავადვე მოახდინოს საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის კორექტირება.

– დაახლოებით ასეთი რამ განახორციელეს სპეციალისტებმა სუპერკომპიუტერ „აიბიემ ვათსონის“ გაუმჯობესებისას, – ამბობს „აიბიემ“-ის ინჟინერი დევიდ ფერუჩი, რომელმაც ნიუ-იორკში გამართულ ფორუმზე საზოგადოებას კომპიუტერების განვითარების საკუთარი ხედვა გააცნო.

დევიდ ფერუჩი ამტკიცებს, რომ მომავლის კომპიუტერი ადამიანთან ურთიერთქმედებას ისწავლის. მას აღარ დასჭირდება ადამიანი, რომელიც პროგრამულ უზრუნველყოფებზე იმუშავებს, თუმცა სწორედ ადამიანთან ურთიერთქმედების დახმარებით განსაზღვრავს, რა ტიპის მონაცემები იქნება ჩვენთვის საჭირო.

– მომავლის კომპიუტერის საკვანძო თავისებურება სწორედ ერთობლივი მუშაობა იქნება ამა თუ იმ დავალებაზე. „აიბიემ ვათსონი“ ამ მიმართულებით პირველი პროექტია. შევეცადეთ, მისთვის ადამიანის გაგება გვესწავლებინა, რაზეც 4 წელზე მეტი დრო დაგვეხარჯა, – ამბობს დევიდ ფერუჩი.

ინჟინრების თქმით, მომდევნო 2 წელი „აიბიემ ვათსონს“ კიდევ ბევრი რაღაცის შესწავლა მოუწევს, რათა „შთამომავლების ღირსეული წინაპარი გახდეს“.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***forum-orion.com***

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**5 დეკემბერი:** ამ დღის მშვიდად გატარება გაგიჭირდებათ, თუმცა, კარგად გაერთობით, თუკი ბავშვებთან ან მხიარულ ადამიანებთან გექნებათ ურთიერთობა.

***კურო 22.04-21.05***

**5 დეკემბერი:** დღეს იძულებული გახდებით, ფანტაზიები გვერდზე გადადოთ და მწარე რეალობას დაუბრუნდეთ. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

***ტყუპები 22.05-21.06***

**5 დეკემბერი:** დღეს თქვენი გონება ემოციაზე გაიმარჯვებს. გულის კარნახს ბოლომდე ნუ გაჰყვებით, ცივი გონებით განსაჯეთ ყველაფერი.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**5 დეკემბერი:** შეიძლება დღეს თქვენი პირადი ცხოვრების გარკვეული დეტალები გამჟღავნდეს და ეს შეიძლება თქვენთვის მომგებიანიც კი აღმოჩნდეს.

***ლომი 23.07-22.08***

**5 დეკემბერი:** მსუბუქი დღე არ გელით, დიდი მონდომება და აქტიურობა დაგჭირდებათ. შესაძლოა, ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩნდეთ. მოაგვარებთ ამ საკითხს, მაგრამ იწვალებთ.

***ქალწული 23.08-22.09***

**5 დეკემბერი:** შეიძლება რეალობა სულ სხვაგვარად აღიქვათ და გაგიკვირდებათ, როცა რაღაც საკითხზე სხვა მოსაზრებებს მოისმენთ. გამოფხიზლდით.

***სასწორი 23.09-22.10***

**5 დეკემბერი:** შეიძლება შურიანობა მოგეძალოთ. თუ ვინმე რამე წარმატებას მიაღწევს, შეეცადეთ, ყურადღება არ მიაქციოთ და ბოღმიანი სახე არ დაანახოთ.

***მორიელი 23.10-21.11***

**5 დეკემბერი:** გინდათ თუ არა და დაპატიჟებთ ვინმეს თუ არა, დიდი ალბათობით სტუმრები გეწვევიან. შეეცადეთ, ამისთვის წინასწარ მოემზადოთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**5 დეკემბერი:** რაოდენ კეთილი მიზნებიც არ უნდა გქონდეთ, ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც თქვენ გინდათ. დღე იქნება ასეთი, ამიტომ მოთმინება გმართებთ, სანამ ყველაფერი ჩაივლის.

***თხის რქა 22.12-19.01***

**5 დეკემბერი:** შეიძლება აღმოჩნდეთ სიტუაციაში, რომელსაც ვერ აკონტროლებთ. ვერაფერს შეცვლით და ვერ გამოასწორებთ, ამიტომ ზედმეტი აქტიურობაც არ ღირს.

***მერწყული 20.01-18.02***

**5 დეკემბერი:** დღეს ცოდნა უნდა აღიქვათ საშუალებად და არა მიზნად. რა ენერგიაც არ უნდა დახარჯოთ, თქვენს უნარებს ვერ გააუმჯობესებთ.

***თევზები 19.02-20.03***

**5 დეკემბერი:** ნებისმიერი თქვენი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, მაგრამ ენერგია დღის ბოლომდე არ გეყოფათ. თავი არ გადაიტვირთოთ, თორემ საღამომდე არაქათი გამოგეცლებათ.

## დაამარცხეთ დეპრესია მობილური ტელეფონის მეშვეობით



ფსიქოლოგიური აშლილობები იმდენად დიდი პრობლემაა ადამიანისთვის, რთულად რომ ვინმემ ეფექტური დახმარება აღმოუჩინოს. ყოველ შემთხვევაში, რეაბილიტაციის კურსი საკმაოდ ხანგრძლივია და სწორედ აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ამერიკელების ჩანაფიქრი.

როგორც ირკვევა, კონტინენტსგაღმელები მობილური ტელეფონის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც დეპრესიის ნიშნებს ადამიანს საწყის ეტაპზევე დაუდგენს და ამდენად, მკურნალობაც გაცილებით ადვილი გახდება.

ცნობილი ხდება, რომ ამერიკელი მეცნიერები ინდივიდუალური ალგორითმების შემუშავებაზე მუშაობენ, რომლებიც დეპრესიის ნიშნებს გამოავლენენ. იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამა ადამიანის განწყობის ცვლილებას დააფიქსირებს, მის ახლობლებსა და ნათესავებს მაშინვე მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს გაუგზავნის.

აღსანიშნავია, რომ მობილური ტელეფონის ტესტვერსიები უკვე თითქმის 100-პროცენტიანი წარმატებით გამოიცადა რვა ადამიანზე.

პროექტის სახელწოდებაა „მობაილიზ“, რომელიც, სავარაუდოდ, მომხმარებლამდე უკვე უახლოეს მომავალში მიაღწევს.

უნდა ითქვას, რომ დაახლოებით მსგავსი პროგრამები უკვე ცნობილია მსოფლიოსთვის, თუმცა, როგორც ამერიკელები ამტკიცებენ, მათი სიახლე ყველასგან გამორჩეული და ყველაზე ეფექტური იქნება.

ვნახოთ, რამდენად გამართლდება მათი მოლოდინი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***epochtimes.ru***



შვილმა მამა საავადმყოფოში მიიყვანა. მიმღებში ეკითხებიან:

– ჩუსტები წამოიყოლეთ?

– დიახ, წამოვიყოლეთ!

– ხალათი?

– კი, ბატონო, ხალათიც!

– თეთრეული თუ მოიტანეთ?

– მოვიტანეთ!

– ბალიში, საბანი?

– ბალიშიც და საბანიც!

– კარგია! და ის თეთრხალათიანი ვინ არის, თქვენს უკან რომ დგას?

– ყოველი შემთხვევისთვის, ექიმიც თან გვახლავს!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »» 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.40